

## ასკარეზზე საიმედო ახალი წელი

როგორ იზრდებიან პატრიოტები

# ქერძო სკოლა „ივერონი“



„სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა მამა-პაპათაგან...მამული, ენა, სარწმუნოება...“

ილია



საბა კინჭაძე

სამშობლო ისეთი უსაშველო ფენომენია, რომელსაც ასაკი არ გააჩნია, ისევე, როგორც დედას, და დედასავით მარადიულია. გამოდის, რომ სამშობლო ყოველდღე გვბადებს, ყოველდღე იბადება ჩვენთვის,



ბიორბი ვაშაძე

თავად კი არასოდეს არ კვდება, უკვდავია, - ნოდარ დუმბაძის სიბრძნე დღესაც მარადიულია.

მოდით, წარსულს გადავხედოთ ერთად!

ქერძო სკოლა „ივერონი“ მეცხრეკლასელებმა საპრეზენტაციოდ წარმოგიდგინეს მხილ ჯავახიშვილის მოთხრობა „მინის ყივილისა“ და გუგული მგელაძის მხატვრული ფილმის „ფესვების“ კინოვერსიის შედარება.

მოსწავლეებმა ისაუბრეს რამდენად უწყობს ხელს ნაწარმოების თემის გაშლას კინოფილმის მუსიკა, რა დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ის მაყურებელზე. მოიყვანეს კონკრეტული მაგალითებიც. უცვლელად წარმოგიდგინოთ მოსწავლეთა ნამუშევრებსა და შესაბამისად ტექსტისა და კინოვერსიის შედარების ამონარიდებს:

### გვანცა კიკალიშვილი

ჩემი მიზანია წარმოგიდგინოთ მხილ ჯავახიშვილის ტექსტი „მინის ყივილი“ და კინორეჟისორ გუგული მგელაძის კინოვერსია „ფესვები“. ორივე სიუჟეტი ქართველი ემიგრანტის სამშობლოში დაბრუნების ლტოლვას ასახავს. მათ გასაჭირს ერთი ფუძე აქვთ.

საყურადღებოა ფილმის დასაწყისი, რომელიც საგრძობლად განსხვავდება მოთხრობისაგან.

ფესვების მელოდიური ფონი კი ამშვენებს და აცოცხლებს სიუჟეტს. კინოვერსიაში პერსონაჟთა სახეცვლილება შეინიშნება. მთავარი პერსონაჟი გიორგი - ყორჟ ზაქარეიშვილია, ტექსტში კი - ანდრო კაიშური.

მარტივად შესამჩნევია, რომ, გარდა პერსონაჟებისა სიუჟეტიც შეცვლილია შინაარსი კი - ხელშეუხებელი.

ფილმში მთავარი გმირი ახალგაზრდა კაცია. ჩვენ წინაშეა უცხოეთის გზაზე მდგარი ადამიანის განვლილი ცხოვრება.

ფილმის ბოლოს ვხედავთ მოხუცს, რომელიც სიკვდილს ეჭიდება სამშობლოში დასაბრუნებლად.

ორივე ნაწარმოების დედააზრია: „მშობლიურ მიწას დაუბრუნეთ ჩემი ვალი... ჩემი ვალი ან ცოცხალი, ან მკვდარი...“ აქვე ჩაგვესმის



ნიკოლოზ მთიულიშვილი

„ვეფხისტყაოსნიდან“ სიტყვები: „სადაურსა სად წაიყვან... მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა!“ „ფესვები“ ბედკრული საქართველოს ხატია.



მარიამ გოპრონიძე

### ნიკა ბროძელი

ვფიქრობ, მოთხრობა მეტი ემოციურობითაა გაჯერებული, მთავარი გმირის სატყვივარი მეტად იგრძნობა...ფილმი ხელოვნებაა, მოქმედება ფირზე აისახება...“ფესვები კი სიღრმეა სამშობლოს ფესვებ-

სმონყვეტილი ქართველი ემიგრანტისა.

აქვე საინტერესო ეპიზოდია - გიორგისა და ქართველი კაცის შეხვედრა, სამშობლოდან წამოღებული მინის გაყოფა-სიმბოლო „მუჭა-მუჭად გატანილი საქართველოსი...“

### დაჩი დარჩიძე

...და მაინც, რა არის უცხოებაში სიამე? ფილმში ხშირად ჩაფიქრდება ხოლმე მთავარი გმირი... და უმაღლეს სიცარიელის შეგრძნება ისაღგურებს... „უსამშობლოდ კაცი არა ხარ!“

ორივე ნაწარმოებში ბაბუისა და შვილიშვილის ურთიერთობა სათუთი კავშირით ვლინდება. გვესმის გიორგის ქართული სიმღერის ხმა, მეტად, კადრის ფონზე ფილმიდან: „მე პატარა ქართველი ვარ, კავკასიის მთების შვილი...“

გიორგის თვალბეზე ცრემლები ეძალება.

მოთხრობაში სამშობლოს მონატრება ანდრო კაიშაურს ტანჯავს, ტკივილად გადაქცევია, სწორედ ამ დროს ნაწარმოებს სიკვდილიც. სიცოცხლის მიწურულს იხსენებს კიდევ ბავშვობის ენას - ქართულს.

„მინის ყივილში“ მოთხრობელი მოხუცის ფერფლს ანდროძისამებრ საქართველოს მიწას მიმოაბნევს, როგორც ფილმში.

დრამატულია ფილმის დასასრული: კოკისპირული წვიმის ფონზე შავი ქოლგების ქვეშ შეკრებილნი ელოდნენ წლების წინ უცხოეთში გადახვენილ გიორგის უცნობ შვილიშვილს... დატირება... გამოთხოვება...

ხის სიმაღლე ზემოდან არ იზომება არამედ ფესვებიდან... საქართველოდან.

ქართველს ერთი აქვს სამშობლო... და ეს ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველოა.

### ანასტასია გიორხელიძე

### გაგრძელება მე-2 გვ.

უპირველესად, სახელწოდება ტექსტისა და ფილმისა განსხვავებულია! ტექსტის სათაუ-



ლუკა ბახოკია


რია „მინის ყივილი“, ფილმისა - „ფესვები“. საოცარი მუხტია... მინის ძახილი, ფესვებიდან ნასაზრდოები...

ფილმში სიუჟეტი ტექსტის მიხედვით არ ვითარდება, ნაწარმოებთა მთავარი კი - ერთია. ორივე ნაწარმოებში მთავარი პერსონაჟის - ანდრო კაიშაურის თავგადასავალია



დემეტრე სირბილაძე

გადმოცემული. პერსონაჟს სიკვდილის წინ გაახსენდა სამშობლო და მშობლიურ ენაზე ამეცყველდა. ფილმში ბაბუამ შვილიშვილს ქართული ასწავლა. ფილმი ნაწარმოების მთავარ სათქმელს ავსებს. გარდაცვალების წინ მთავარი პერსონაჟი გულზე საქართველოს მიწას მიმოიბნევს. ცოცხალს თუ არა, მკვდარს მაინც აუსრულეს ანდროძი - ფერფლი მშობლიურ მიწას დაუბრუნდა.



მარიამ ბერაძე

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

გაგრძელება მე-2 გვ.



# სიასლეთა გზაზე გაბედულად მიდიან



ამ სკოლას „ბაღარს“ ვეძახი. დიდმა დირექტორმა **ოთარ თეთვაძემ** სკოლის ეზო ნაირნაირი ხეხილით დაამშვენა. სულო და გულო, რა არ იყო აქ: ვაშლი, მსხალი, ყურძენი, ატამი, ლეღვი... „თბილისობაზე“ საკუთარ თათარას ადუღებენ.

ესეთიკური გარემო ყოველთვის ამალღებს აღზრდასწავლების ხარისხს. ეს ტრადიცია წარმატებით გააგრძელა შემოქმედმა დირექტორმა **ნინო კაშიამ**.

## \*\*\* სიასლეთა გაბედულად პასორციელები

**მოსწავლის** შემოქმედებითი ფანტაზია ამოუწურავია. სკოლის კედლებში ფართოდება მისი გონებრივი თვალსაზრისი ფორმალურ განათლებასთან ერთად არაფორმალური განათლება ეხმარება მოზარდს სრულფასოვან მოქალაქედ ჩამოყალიბებაში. მასხენდება **დავით გურამიშვილის** სიტყვები: „ყმანვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო, ვინ არის, სიღამ მოსულა, სად არის, ნავა სადაო“


სწორედ ამ ფესვებთან კავშირს ემსახურებოდა ჩემ მიერ მოფიქრებული ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზი-

ცია თემაზე: „ენა, მამული, სარწმუნოება“ მე-ნ კლასის მოსწავლეები დამესმარენ ინფორმაციის მოძიებასა და დახარისხებაში, აირჩიეს და დაისწავლეს ლექსები. ბევრი ვიმუშავეთ გამომეტყველებით კითხვაზე. გამოვავლინეთ მშვენიერი დეკლამატორები. მუსიკის მასწავლებლის **მაკა ქველასის** დაუღალავი შრომით შეისწავლეს სახალისო სიმღერები და... ღონისძიებაც შედგა.

ლამაზად მორთულ დარბაზში ყრიაშული ისმოდა... ღონისძიებას ესწრებოდნენ პარალელური კლასის მოსწავლეები, მშობლები, პედაგოგები, დირექციის წევრები. იდგნენ სცენაზე ულამაზესი გოგო-ბიჭები და ფარნავაზიდან მოყოლებული იაკობამდე უწყვეტ ჯაჭვად წარმოადგინეს ენის, მამულის, სარწმუნოების სიყვარული, პატივისცემა. ინსცენირებით უჩვენეს მაყურებელს, თუ როგორი აუცილებელია წიგნის კითხვა, ლიტერატურის სიყვარული.

მოსწავლეებს მიესალმა და ნაშრომი შეუქო სკოლის დირექტორმა ქალბატონმა **ნინო კაშიამ**. კიდევ უფრო გახალისდნენ მოსწავლეები.

წარმატებები უსურვეს მათ დირექტორის მოადგილეებმა ბატონმა **ლაშა კილაძემ** და ქალბატონმა **ნელი ჭელიძემ**. ღონისძიების ორგანიზატორმა, პედაგოგმა **ლია ჩხაიძე**



**ქემ** მადლობა გადაუხადა ბავშვებს, მშობლებს, დამსწრე საზოგადოებას.

**ბესარიონ კვიციანი** და **ალექსანდრე თანდაშვილის** სახელობის ქალაქ თბილისის N32 საჯარო სკოლა გმირების სახელს ატარებს და კვლავაც ღირსეულ თაობას უზრდის ქვეყანას. ეს ბავშვები ჩვენი ხვალისდელი დღეა. კვლავაც უშურველად მივანვდით მათ სულიერ საზრდოს. ეს გვევალება ჩვენ, მასწავლებლებს

დირექტორი: **ნინო კაშია**, მოადგილე: **ნელი ჭელიძე** და **ლაშა კილაძე**.

წამყვანი მასწავლებლები არიან: **ბელა კოშაძე**, **ნინო კაშია**, **მაია მისურაძე**, **ნანა რომელაშვილი**, **ასმათი ჭარულიძე**, **ნუნუ ჯიმშელიშვილი**, **ინგა შველიძე**, **ლია ჩხაიძე**, **თინა სანებლიძე**, **ნანა ჯოჯიშვილი**, **ნათია მალიძე**, **მირანდა მუმლაძე**, **ნინო ხახიშვილი**, **ელენე თუთბერიძე**, **ია ჯიმკარიანი**, **ეთერ მიქაძე**.

მენტორი მასწავლებლები ვამაყობთ: **ხათუნა გოგალაძე**, **ნანა ღონაძე**.

## ლია ჩხაიძე

ბესარიონ კვიციანისა და ალექსანდრე თანდაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N32 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

## ბორის მიშველაძე

პედაგოგიკის დოქტორი

### როგორ იზრდებიან პატრიოტები

#### პირველი გვერდიდან



დასკვნა ერთია: „სამშობლო უფალი, არ გაიცვლების სხვაზედა...“

#### მარიამ დარჩიძე

მოთხრობა „მინის ყივილი“ და ფილმი „ფესვები“ მოგვი-

თხრობს ემიგრანტ ქართველებზე. ფილმის მთავარი პერსონაჟი გიორგი ზაქარეიშვილი 22 წლის ნავიდა საფრანგეთში. სამოცმა წელმა განვლო რაც მშობლიურ მინას მოშორებულმა, სამშობლოზე ფიქრში გაატარა წლები.

მოთხრობელს ვეცნობით ქართული წიგნით, - „ვეფხისტყაოსნით“ ხელში. ქართველი მშობლიურ მინას უყოფს ემიგრანტს. ვეფხისტყაოსანი გაახსენებს მშობლიურ ქართულს. ბაბუა შვილიშვილს ასწავლის ქართულ ენას. უტოვებს ანდერძს. ანდერძს აღასრულებს შვილიშვილი - ფერფლს მშობლიურ მინას მოაფრქვევს.

ფილმში სამშობლოს მონატრების ჩახშობა სამშობლოს მინის გაყოფით ხდება. ნაწარმოები ცოცხალი მაგალითია, თუ რა გზა გამოიარეს ფესვებმონყვეტილმა ჩვენმა წინაპრებმა, ემიგრანტებმა.



#### დავით კილასონია

ორივე ნაწარმოების შედარებისას გამოიკვეთა ქართველი ემიგრანტის სევდიანი ცხოვრება. ფილმს ფონად ედება საოცარი მუსიკა, რაც მეტისმეტად ამაფრებს სამშობლოს მონატრებით განამებული ემიგრანტის ყოფას. ნათქვამია, „ყველაზე ბოლოს კვდება იმედი, სულის სიმაღლე - სიყვარულია!“ და ეს სიყვარული


ის ძალაა, რომელიც აჩრდილივით თან დასდევს გმირს, რომელსაც ასაზრდოებს იმედი: „ჩვენ დაგზრუნდებით“!

...  
სულის სიღრმეზე შემძვრელი ანდერძის ექო. სიკვდილის წინ ფილმის გმირი მოძღვრავს შვილიშვილს: გახსოვდეს, ხის სიმაღლე მინის ზევიდან კი არა, ფესვებიდან იზომება. შენი ფესვები იქ არის - საქართველოში!

ავტორმაც და რეჟისორმაც შეძლეს გადმოეცათ ის დიდი გულსტიკვილი და სევდა, რომელიც სამშობლოდან გადახვეწილი ადამიანს თან სდევს.

სამშობლოს სიყვარული კი იმდენად ღრმა და ძლიერია, ბედის უკუღმართობაც ვერაფერს აკლებს. ჩენი ისტორია, ჩენი წინაპრების დანატოვარი ანდერძია! ნუ გადავიხვეწებით იქ, სადაც დაგვარავთ ქართულ სულს, თვითმყოფადობას...

პრეზენტაციას ესწრებოდნენ სკოლა „ივერონის“ დირექტორი **მარინე დარჩიაშვილი**, სკოლის ორგანიზატორი **ლალი ლამბრიანიძე**, სასწავლო ნაწილის გამგე **ქეთევან ჩიქოვანი**.



#### რედაქტორის მინაწერი:

ამ სტატიის ავტორი ღვანლმოსილი, შემოქმედი პედაგოგია. ამასთან ერთად გახლავთ გამოცდილი ჟურნალისტი, ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი. წერილიდან ნათლად ჩანს, როგორ ზრდის მოსწავლე ახალგაზრდობას. ნაყოფიერად თანამშრომლობს ჩვენთან. დიდი მადლობა თინა ჩხეიძეს მხარში დგომისთვის!



#### თინა ჩხეიძე

სკოლა „ივერონის“ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

ნიკოლოზ გაბაია



# პედაგოგად და პოეტად შობილნი



დღეს მეტად გავრცელებულია სამა-  
დლობელი სიტყვა „გაიხარე“. ეს  
ტერმინი ფუძედ უდევს „გახარია“  
და „ხარებას“. ორივეს სიმბო-  
ლოა „ხარი“, სიკეთის, სიხარულის,  
ღვანის. გამარჯვების სანყისი.  
ეს გვარები საერთო გეოგრაფიულ  
არეალშია მოქცეული: **ლესიჭინე,**  
**მუხური, ფოცხი.** ამ სიტყვების ავ-  
ტორის დედა, გვარად **ხარებავა,**  
ფოცხოდან იყო. სამივე სოფელი  
ჯადოსნური ბუნებით მოგზი-  
ბლავთ. „საამო არის საცქერლად  
დაიცის უბესავითა“.

პოეტ **ლამა გახარიას** „ძეგლი  
აუგეს უნეტარესი“. **ნინო გახარია**  
კი – „სამეგრელოს ასულია“... ეს  
მცირე შესავალი – ხუმრობით.

**ნინო გახარია** მეოთხედ საუ-  
კუნეზე მეტია შემოქმედებითად  
უძღვება თბილისის 94-ე სკოლას  
(„საჯარო“ არ მომწონს, უფრო  
ზუსტია „სამშალო“) ნინოს იქიდან  
„არ მოუცვლია ერთი ნაბიჯი“. ჯერ  
რიგითი პედაგოგი იყო, შემდეგ –  
დირექტორის **მარინე ჩავანავას**  
მოადგილე და თითქმის ოცი წე-  
ლია, თავად გახლავთ დირექტორი.

დღეს როგორ ცხოვრობს  
სკოლა, თავად ნინოს წერილიდან  
შეიტყობთ.

## მშობლებთან ეფექტური კომუნიკაციის გამოცდილება

**ზოგადსაგანმანათლებლო** დანე-  
სებულების ყველა სტრუქტურული  
ერთეული, ყველა რგოლი, სკოლის  
კონცეფცია, მისია, ხედვა თუ  
სამართლებრივ-ადმინისტრაცი-  
ული აქტები მიემართება ერთ  
მიზანს – შექმნას ხელსაყრელი პი-  
რობები ეროვნული და ზოგადსაკა-  
ცობრივი ღირებულებების მატარე-  
ბელი თავისუფალი პიროვნების  
ჩამოყალიბებისთვის. ამასთანავე,  
საჯარო სკოლა უვითარებს მო-  
ზარდს გონებრივ და ფიზიკურ  
უნარებს, აძლევს საჭირო ცოდნას,  
ეხმარება ჯანსაღი ცხოვრების წე-  
სის დამკვიდრებაში, უყალიბებს  
ლიბერალურ და დემოკრატიულ  
ღირებულებებზე დამყარებულ  
სამოქალაქო ცნობიერებასა და  
კომპეტენციებს. სასწავლო პრო-  
ცესის ინკლუზიურობა და მო-  
სწავლეთა წარმატება ის მახასი-  
ათებლებია, რომელთაც, სკოლის  
მისიისა და ხედვის შესაბამისად,  
გვახალისებს გრძელვადიან მიზან-  
თან.

მოსწავლეთა წარმატება  
დამოკიდებულია უამრავ ფაქ-  
ტორზე, მათ შორის ერთ-ერთი  
მნიშვნელოვანი რგოლი, რომელსაც  
ზეგავლენის მოხდენა შეუძლია მო-  
სწავლის წარმატების კოეფიციენ-  
ტზე, არის მშობელი. როგორც არ  
უნდა იყოს ოჯახის სოციალურ-  
ეკონომიკური სტატუსი, მშობლის  
მონაწილეობა შვილის განათლების  
პროცესში მოსწავლის განვითარე-  
ბაზე პოზიტიურად მოქმედებს.

მშობელთა ჩართულობა ნიშ-  
ნავს მშობლების ინტენსიურ, მრავ-  
ალმხრივ მონაწილეობას საკლასო

თუ სასკოლო ღონისძიებაში. ამ  
დროს მოსწავლეს უმაღლესადაა  
მოტივაცია, თვითშეფასება, უფი-  
თარდება სოციალური უნარები,  
მისი ქცევა ხდება უფრო პოზი-  
ტიური ყველგან, გარდა ამისა,  
მოსწავლე ხედავს, რომ მშობელი  
და მასწავლებელი მის გარშემო  
ერთიანდებიან და გრძობს მათ  
პარმონიულ ძალისხმევას – ხელი  
შეუწყონ და გაზარდონ მოსწავლის  
აკადემიური მიღწევები. სასკოლო  
ცხოვრებაში აქტიურად მონაწილე  
მშობლების შეილება უჩნდებათ მი-  
კუთვნილებების განცდა, უკეთეს  
სი ურთიერთობები უყალიბდებათ  
მასწავლებლებთან, სასკოლო თემ-  
თან. ასეთი პროცესების დინამიკა  
სასარგებლოა თავად მშობლისთვისაც:  
იცვლება მისი დამოკიდებ-  
ულება სკოლისადმი, იცვლება მისი  
სოციალური, ემოციური მხარე და  
პიროვნული თვისებები, უჩნდება  
ნდობა სკოლის მასწავლებლები-  
სა და ადმინისტრაციის მიმართ,  
ხდება თავდაჯერებული, ერთგობა  
ბავშვის განათლებისა და აღზრდის  
პროცესში. თუმცა ამ ჩართულო-  
ბამდე მისვლა ერთ-ერთი მნიშ-  
ვნელოვანი გამოწვევაა დღევან-  
დელ საგანმანათლებლო სივრცეში.


მშობელთა სასკოლო ცხოვრება-  
ში ჩართულობის პრაქტიკის შესწავ-  
ლას აქტუალურს ხდის მსოფლიო  
და საქართველოს საგანმანათლებ-  
ლო სივრცეში არსებული ტენ-  
დენციები. ეკონომიკური თანამ-  
შრომლობისა და განვითარების  
ორგანიზაციის (OECD) მონაცემებით  
, 2013-2018 წლებში ქვეყნების  
მეოთხედმა მნიშვნელოვნად გაზარ-  
და პერსონალისა და მშობლების  
შესაძლებლობა მონაწილეობა მი-  
იღონ სასკოლო გადაწყვეტილებებ-  
ში. 2020 წლიდან საერთაშორისო  
კვლევითმა ინსტიტუტმა დაიწყო  
საბაზისო განათლების პროგრამა  
ქვეყნის ყველა საჯარო სკოლაში.  
აღნიშნული პროგრამის მიზანია  
მოსწავლეზე ორიენტირებული  
სწავლების ინსტიტუციონალი-  
ზაცია საქართველოს სასკოლო  
სისტემაში. ამ მასშტაბური ძალ-  
ისხმევის ერთ-ერთი საკვანძო  
მიმართულება არის სკოლებსა  
და მშობლებს შორის შედეგიანი  
თანამშრომლობის დანერგვა.

ვფიქრობთ, რომ აღნიშნული  
წინადადებული ნაბიჯების მიუხე-  
დავად, ქვეყანაში მშობელთა სას-  
კოლო ცხოვრებაში რეალურად,  
ქმედითად ჩართვა გამოწვევაა  
დღესაც. რა თქმა უნდა, დანი-  
ტერესებული საზოგადოებისთვის  
რთული არაა სასკოლო ცხოვრე-  
ბაში მშობელთა ჩართულობის  
სტრატეგიების შესახებ ინფორმა-  
ციისა მოპოვება ან შესაბამისი  
ლიტერატურის გაცნობა, მოგეს-  
სენებათ, ასეთი ლიტერატურა უხ-  
ვადაა ქართულ საგანმანათლებლო  
სივრცეში (მათ შორის მსოფლიოს  
სხვადასხვა ქვეყნებში არსებული  
გამოცდილების გაზიარებითაც),  
მაგრამ ერთი ცოდნა, და მეორეა,  
როგორ გადმოვიტანთ მას ჩვენს  
რეალობაში, როგორ მოვარგებთ  
კონკრეტული სკოლის კულ-  
ტურულ, სოციალურ, ეკონომიკურ  
თუ ფსიქო-ემოციურ საჭიროებებს.  
აქ ძალიან დიდი სიფრთხილე და  
გონიერებაა საჭირო, აუცილებლად  
გასათვალისწინებელია ის რისკ-  
ფაქტორები, რომლებიც თან სდევს

ასეთ პროცესებს სკოლაში.

ჩვენი სკოლის სტრატეგი-  
ული განვითარების ყოველწლიურ  
სამოქმედო გეგმაში ერთ-ერთი  
მიმართულება არის მშობლებთან  
ურთიერთობა. ჩვენ მიერ თავი-  
დანვე ჩატარებულმა ანონიმურმა  
ანკეტირებულმა კვლევამ დაგვა-  
ნახა კონკრეტული საჭიროებები,  
რომელთა პრიორიტეტულ მიმარ-  
თულებებდა

რანჟირების შემდგომ დავი-  
წყეთ შესაბამისი აქტივობების  
დაგეგმვა და განსახორციელებელი  
მექანიზმების მოძიება.  
პირველი ნაბიჯი იყო აბსო-  
ლუტური ღიაობის გამოცხადებ-  
ა - დილის 9 საათიდან საღა-  
მოს 19 საათამდე, ნებისმიერ  
დროს, მშობელს შეუძლია შემო-  
ვიდეს სკოლაში ადმინისტრაციის  
წევრებთან ნებისმიერი საჭიროე-  
ბისამებრ შესახვედრად, წინასწარ  
მის სახელზე დაშვებული საშვის  
საშუალებით (მშობელთა მიღები-  
სთვის ფიქსირებული დღეებისა და  
პერიოდების გამოყოფაზე უარი  
ვთქვით დასახლების მონაცვლადი  
ჯგუფების საუკეთესო ინტერეს-  
ებიდან გამომდინარე). ამან გააჩინა  
ველი მეტი კომუნიკაციისთვის და  
პირველი მასშტაბური პროექტი  
იყო მშობელთა კლუბი „94-ე  
სკოლა და მშობლები“ შექმნა. მარ-  
თალია, თავდაპირველად კლუბი  
ერთი კონკრეტული კლასის ბა-  
ზაზე შექმნა დაწყებითი კლასების  
მასწავლებელმა მადონა ლაშხიამ



„მაგრამ კლუბის სწორად და ეფექ-  
ტურად მუშაობის შედეგი იყო ის,  
რომ ძალიან მალე მასში უამრავი  
ადამიანი განვერიანდა, რამაც  
შესაძლებლობა მოგვცა მეტ მშო-  
ბელთან გვექონოდა უშუალო კომუ-  
ნიკაცია, მიგვენოებინა მათთვის  
საინტერესო და მნიშვნელოვანი  
ინფორმაცია, დაგვეგეგმა ერთ-  
ბლივი ღონისძიებები, დაგვე-  
კავშირებინა კლუბის წევრები  
სხვადასხვა არასამთავრობო ორ-  
განიზაციებთან თუ ასოციაციებთან,  
რომლებთანაც ურთიერთობამ  
ბევრ მათგანს, როგორც მშობელს,  
მოუტანა სარგებელი.“

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც,  
რომ დღეს ამ კლუბში გაერთიანე-  
ბულია 1200 მშობელი (დედა,  
მამა, ბებია, ბაბუა) კლუბს აქვს  
ოფიციალური ფაქტობრივი გვერ-  
დი (<https://www.facebook.com/groups/1963143173992365/>)

კლუბის მუშაობის პროცესში  
აქტუალურ პრობლემებზე მსჯე-  
ლობისას გამოიკვეთა საჭიროება



„ განსაკუთრებული ყურადღება  
გაგვემახვილებინა პრიორიტეტ-  
ული გამჭოლი კომპეტენციის  
„ნივნიერების“ მიმართულებით.  
კითხვის უნარების განვითარება  
ყველაზე მეტად განაპირობებს  
სასკოლო პროგრამის წარმატე-  
ბით ათვისებას და განსაზღვრავს  
თითოეული პიროვნების ეფექტურ  
მონაწილეობას საზოგადოებრივ  
ცხოვრებაში.“

თიმს და PIRLS კვლევების  
შედეგების მიხედვით (ამ კვლევებ-  
ში ჩვენი სკოლაც მონაწილეობდა)  
საქართველოს სკოლებში აუცილე-  
ბელია კითხვის უნარების განვითარე-  
ბა. უკეთესი შედეგები აჩვენეს  
იმ მოსწავლეებმა, რომელთა  
**მშობლებსაც უყვართ კითხვა და  
შეილებთან ერთად ჩართულნი  
არაიან კითხვის აქტივობებში.** ამ  
მიზნით დაწყებითი კლასის მას-  
წავლებელმა მადონა ლაშხიამ შე-  
ქმნა „**პატარა მკითხველთა კლუბი**“,  
რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი  
ყოველკვირული აქტივობაა გან-  
ისახლურა - ერთობლივი კითხვის  
დღე. ყოველი კვირის არასამუშაო  
დღეს „შაბათი/კვირა“, მშობლები  
ბავშვებთან ერთად იკრიბებიან  
სკოლაში, ერთად კითხულობენ მხ-  
ატვრული ლიტერატურას ან უკვე  
ნაკითხულს საკუთარ შეილებთან  
ერთად განიხილავენ, აანალიზე-  
ბენ, წარმოადგენენ პრეზენტა-  
ციებს. მსჯელობენ ეკრანიზაციის  
თავისებურებებზე, ერთობლივად  
წარმოადგენენ როლურ თამაშებს.  
ამ აქტივობამ დადებითად იმოქმე-  
და მოსწავლეთა მოტივაციაზე და  
დირექციას გაგვიჩინა „თავსატეხი“,  
როგორმე მეტი საბავშვო მხატ-  
ვრული ნაწარმოები შეგვეთავაზე-  
ბინა მოსწავლეებისთვის (სკოლაში  
არსებული საბიბლიოთეკო ფონდის  
გარდა). გამოსავალი ვიპოვეთ და  
სკოლის მეოთხე სართულის თავ-  
ისუფალ სივრცეში მოვანყვეთ  
მინიბიბლიოთეკა, რომლის თაროე-  
ბიც მშობლების, დასახლების  
წარმომადგენლებისა და მოსწავ-  
ლეებისგან ნაწილურად, შემოწირ-  
ული ნივთებით შეივსო. ნივთი  
სარგებლობაც თავისუფალია. მო-  
სწავლე იღებს სასურველ ნივთს,  
ატარებს რეგისტრაციის ჟურნალ-  
ში, მიუთითებს გატანისა და სა-  
ვარაუდო მოტანის თარიღს. შედე-  
გი გვაქვს ის, რომ ამ თაროებთან  
მუდმივად მოსწავლეები დგანან და  
არჩევენ ნივთებს.

კლუბ „94 სკოლა და მშობლები-  
სგან“ წამოვიდა იდეა კიდევ ერთი  
გრძელვადიანი პროექტისა „**მშობ-  
ლის ერთი დღე სკოლაში**“. ამ პრო-  
ექტის მრავალმხრივ სიკეთებზე  
ბევრი რამის დანერა შეგვიძლია,  
ამაზე ცოტა მოგვიანებით მოგახ-  
სენებთ. რაც შეეხება პროექტის  
შინაარსს: ერთი კვირის განმავ-  
ლობაში სასწავლო წელისადმი  
მინიმუმ ორჯერ სამივე საფეხ-  
ურის 5-6 მოხალისე მშობელი  
სასწავლო დღის დაწყებიდან დას-  
რულებამდე იმყოფება სკოლაში.  
ჩართულია იმ დღეს მიმდინარე  
ყველა მნიშვნელოვანი აქტივობაში,  
გადანყვეტილების მიღების პრო-  
ცესში. აკვირდება გაკვეთილების  
მიმდინარეობის პროცესს გარედან,  
გადაადგილდება დერეფანში, მეთ-  
ვალყურეობასა და მონიტორინგს  
უნევის სანიტარულ-ჰიგიენურ კვან-  
ძებს, კვების ობიექტს, ინაწილებს  
პასუხისმგებლობას დირექციასთან

ერთად. პროექტს მეორე წელია  
ვახორციელებთ. შედეგი:

- 1) მოხალისე მშობლების რაოდენობა ყოველ ჯერზე იზრდება.
- 2) მშობლები გაუჩნდათ უპირობო ნდობა სკოლისადმი.
- 3) თემში ამაღლდა სკოლის ავტორიტეტი.
- 4) შეიცვალა დამოკიდებულებები, როგორც სკოლაში, ასევე თემში.
- 5) მოხალისე მშობლების შეილება გახდნენ მეტად აქტიურები, მეტად თავდაჯერებულნი და პროაქტიურნი.

მიუხედავად ჩვენი მიერ განხორ-  
ციელებული აქტივობებისა სკოლა-  
ში არის ისეთი პრობლემები, რომ-  
ლებიც გარკვეული სუბიექტური  
მიზნების გამო ზოგჯერ ჩვენთვის  
უხილავია, სამაგიეროდ ხილუ-  
ლია მშობლებისთვის, თუმცა მშო-  
ბელთა უმრავლესობა გაჩუმებას  
ამჯობინებს, რაც ისევე და ისევე  
მიუთითებს იმ სირთულეებზე, იმ  
რისკებზე, რომლებიც თან ახლავს  
მშობელთა ჩართულობის პროცესს.  
ასეთი რისკების თავიდან აცილების  
მიზნით 2022-2023 სასწავლო წლის  
დასაწყისში გადაწყვიტეთ ყველა  
კლასში ჩამოგვეყალიბებინა მშო-  
ბელთა სამუშაო ჯგუფები. ამ სა-  
მუშაო ჯგუფებთან ტარდება რეგ-  
ულარული შეხვედრები, რომელთა  
ინიციატორები არიან თავად დი-  
რექციის წევრები. ეს ფორმატი  
გვაძლევს საშუალებას თითოეულ  
კლასში არსებულ ნებისმიერ ტი-  
პის პრობლემაზე ვისაუბროთ ღიად,  
განვიხილოთ, გავანალიზოთ  
და ერთად დავსახოთ გადაჭრის  
გზები, ამ ფორმატის ფარგლებში  
ეფექტური იყო არასამთავრობო  
ორგანიზაცია „მშობლები განა-  
თლებისთვის“ დამფუძნებლის,  
ქალბატონ მეგი კავთუაშვილის,  
ჩართულობის უზრუნველყოფა და  
ტრენინგ კურსების შეთავაზება  
ჩვენი მხრიდან. აღნიშნულ ორგა-  
ნიზაციასთან თანამშრომლობა სა-  
სარგებლო და დროული აღმოჩნდა  
მშობლებისთვის. ჩვენი სკოლის  
სხვადასხვა კლასის 15 მშობელი  
დღესაც გადის ტრენინგებს „მშო-  
ბელთა ციფრული განათლება“  
თემებზე - კიბერუსაფრთხოება.  
მობილურის და კომპიუტერის უს-  
აფრთხოება; მშობლის კონტროლი;  
ძლიერი და სუსტი პაროლები;  
პერსონალური მონაცემები და  
მათი დაცვა; ყალბი ამბების და მა-  
სალების ამოცნობა; სოციალური  
ქსელები და უსაფრთხო მიმოწერა;  
საფრთხის შემცველი თამაშები და  
აპლიკაციები; ფიშინგი- ონლაინ  
თაღლითობა და მისგან თავდაცვა;

ვფიქრობთ, რომ სასკოლო  
ცხოვრებაში მშობელთა ჩართუ-  
ლობის კარგი პრაქტიკა ნამდ-  
ვილად გვაქვს, რასაც სჭირდება  
გავრცელების, დანერგვისა და  
ინსტიტუციონალიზაციის ხელშე-  
საწყობად გამოცდილების რეგუ-  
ლარული გაზიარების უზრუნვე-  
ლყოფა.

## ნინო გახარია,

სსიპ ჯამბულ წუნწუმის სახ-  
ელობის ქალაქ თბილისის N 94  
საჯარო სკოლის დირექტორი.





# ახალ სიმაღლას შეჭიდებულნი



## სიტყვა სიტყვაა – უთუოდ შევასრულაბთ პირობას

სსიპ ქალაქ თბილისის N67 საჯარო სკოლაში (დირექტორი ნანა ყორყოლიანი) შექმნილია სათანადო პირობები იმისათვის, რომ ყველა მოსწავლე იყოს თანასწორი, ჰქონდეს გამოხატვის თავისუფლება, ჩამოყალიბდეს ინტელექტუალური ტოლერანტული პიროვნება.

სსიპ ქალაქ თბილისის N67 საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს მშვიდ გარემოში. სკოლის მასწავლებლები და კლასის დამრიგებლები საკუთარ მოვალეობებს კეთილსინდისიერად ასრულებენ, თითოეულ მოსწავლეს აქვს თანამშრომლობის, თანასწორობის, გულახდილობის განცდა მასწავლებლებთან და



სასწავლო თუ შემოქმედებითი ღონისძიებებით. მოსწავლეთა ჩართულობა, მათი აზრის გათვალისწინება და შედეგის მიღება სტიმულს აძლევს მოსწავლეებს მეტი აქტივობისა და ჩართულობისთვის.

მეტად საინტერესო და მიმზიდველი აღმოჩნდა სკოლის მოსწავლეებისთვის სამედიცინო

სკოლის ადგილმდებარეობა ხელსეზონებს საინტერესო ღონისძიებების ჩატარებაში, ასეთი ერთ ასეთი პროექტი დაგეგმეს და განახორციელეს მე-11 ა კლასის მოსწავლეებმა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ნათუთი ხვედელიძისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებლის გიორგი სახელაშვილის

ლებანიძე), მე-2 კლასის (თ. ცინცაძე) მოსწავლეები ესწრებოდნენ სხვადასხვა თეატრის სპექტაკლებს.

სკოლის დირექტორის ქალბატონ ნანა ყორყოლიანის ინიციატივით ჩატარდა და ახლაც აქტიურად ტარდება პროექტი „ერთი დღე თქვენთან ერთად“. ქალბატონი ნანა საბაზო და საშუალო

ქუთაისის პედინსტიტუტში შუა საუკუნეების ისტორიას გვიკითხავდა იმპროვიზატორი, ბრძნად მეტყველი, დიდებული თამადა დავით ჯანელიძე, ყველა სადღეგრძელოს ლექსად ამბობდა. იმ დროს ჭადრაკში მსოფლიოს ჩემპიონ მიხეილ ბოტვინიკს ჯადოქარი მოსახელე ტალი ერკინებოდა, რომელიც თავად გახდა ჩემპიონი.



ჩვენმა ლექტორმა მაშინათვე გამოთქვა კალამბური: „ტვინით გატენილ ბოტვინიკს ტალი შეება ტალურად, ოთხი პარტიით მოუგო, დასდო პორიზონტალურად“. მაშინ ბოტვინიკმა თქვა: ჩემპიონობის მოპოვება უფრო ადვილია, ვიდრე მისი შენარჩუნება.

მინდა ეს აზრი დღევანდელ 67-ე სკოლას მოვარგო. წვანლმოსილი, შემოქმედი დირექტორი ნანა ყორყოლიანი მოადგილე და ძლიერ პედკოლექტივთან ერთად დიდი ხანია არავის უთმობს პირველობას, პირიქით, ახალ სიმაღლეებს უმიზნებს.



კლასის დამრიგებლებთან. პანდემიის პერიოდმა თავისი დალი დაასვა მოსწავლეთა ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, ტელეფონმა ჩაანაცვლა ცოცხალი ურთიერთობები, გააუცხოვა საზოგადოება. ამ უარყოფით შედეგებს კიდევ უფრო ართულებს მშობელთა მიგრაცია სხვადასხვა ქვეყნებში, მოსწავლეები თითქოს სიმარტოვეს განიცდიან, ეძებენ ხსნას სოციალურ ქსელებში; სკოლის წინაშე დადგა ამოცანა, როგორმე აღედგინა ჯანსაღი დამოკიდებულება და სწავლისადმი ინტერესი. ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, მასწავლებლებმა და კლასის დამრიგებლებმა დაგეგმეს ერთობლივი ღონისძიებები სხვადასხვა მიმართულებით.

გულახდილი საუბრების სხვადასხვა ფორმები აქვთ შერჩეული კლასის დამრიგებლებს: ინდივიდუალური საუბრები, სოციალური პროექტები, კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები (თეატრი, კინო, მუზეუმი);

სასწავლო წლის ყოველი კვირა დატვირთულია საინტერესო

კვირული, სადაც მოსწავლეებმა მიორგეს ექიმის როლი, საბაზო და საშუალო საფეხურის რამდენიმე მოსწავლემ ჩატარა გამოკითხვა - კანის, პირის ღრუს, თმის მოვლის, ლორწოვანი გარსის დაავადებების პრევენციის შესახებ; ჯგუფმა მოამზადა საინფორმაციო ბუკლეტი და გააცნო სასკოლო საზოგადოებას მათთვის საინტერესო საკითხები. ამ ღონისძიებას ხელმძღვანელობდნენ ბიოლოგიის მასწავლებლები: თეა ივანელაშვილი და სოფიკო გაფრინაშვილი, კონსულტაცია გაუწია სკოლის ექიმმა ნინო აბაკელიამ.

სპორტული ღონისძიებები ყოველთვის ინვეს დიდ ინტერესს მოსწავლეებში, სკოლაში ჩატარდა მხიარული სტარტები (3,4,5,6 კლასები) და შიდა სასკოლო ფესტივალი ფაზბურთში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს დანეციბით, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებმა. გამარჯვებულმა მიიღო სკოლის გარდამავალი თასი. (გ. მახარაშვილი, თ. ყაზარაშვილი, ლ. ნონიაშვილი);

თანადგომით პროექტი „ჩვენი უბნის ტაძრები“ მოსწავლეებს მისცა საშუალება გამოეკვლიათ სკოლის გარშემო მდებარე ტაძრების ისტორია. ემუშავათ საბატრიარქოს არქივში, მოეძიათ მასალები. მე-10 კლასში არჩევილი საგნად ისწავლება „მენარქეობის საფუძვლები“ (მასწ. ც. ნაყურე); ტრადიციად დამკვიდრდა გლდანის პროფესიული კოლეჯში ტრადიციად დამკვიდრდა გლდანის პროფესიული კოლეჯში სტუმრობა, რომელიც შემდეგში პროფესიის არჩევაში უწყობს ხელს მოსწავლეებს.

მოსწავლეები ქმნიან სხვადასხვა სფეროში ბიზნეს გეგმებს და ხდება გაანალიზება, ამზადებენ ხელნაკეთ ნივთებს, აწყობენ გამოფენა-გაყიდვებს; მოსწავლეთა ხელნაკეთი ნივთების საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვით მიღებული თანხით მოსწავლეები ახარებენ სოციალურად დაუცველებს. „თეატრი და მოზარდები“- კვირულის ფარგლებში მე-9 კლასის (ნ. რუხაძე), მე-7 კლასის (ც. კვარაცხელია), მე-4 კლასის (მ.

საფეხურზე ყველა კლასს უთმობს ერთ დღეს და მთელი დღის განმავლობაში მათთან ერთად მონაწილეობს საგაკვეთილო პროცესში.

XI-ა კლასის მოსწავლეებს არასდროს დაავიწყდებათ მთაწმინდის პარკში ჩატარებული მათემატიკის გაკვეთილი (მასწ. ნ. ჩხაიძე). მათ თვითნაკეთი კლინომეტრის საშუალებით გაზომეს ანძის სიგრძე-სიგანე. ცოდნისმიღებასთან ერთად იყო გართობა და ერთად ყოფნის სიხარული.

სკოლა ჩართულია პროექტში „იმოქმედე კლიმატისთვის“ ნიკო კეცხოველის პრემიის მოსაპოვებლად, მონაწილეობენ VIII და IX კლასის მოსწავლეები ხელმძღვანელობს პროექტს მოსწავლე ნ. რუხაძე; გ. ლორია) პრემიის მოსაპოვებლად პირველი აქტივობის შედეგად უკვე მოპოვებულია 20 ნერგი (ქულა).

კიდევ ბევრი ჩანაფიქრი აქვს სკოლას სამომავლოდ.

სიტყვა სიტყვაა – უთუოდ შევასრულებთ ამ პირობას.

რედაქტორი

„მიჰყევ პრემიასა რჩევასა!“

# წინაპართა სადღეისო შებონებანი

\*\*\* „არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა. მით ვისწავლებით, რომ შევძლოთ შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა.“ (მოთა)

\*\*\* „ბრძენი სიტყვითა დარჩების, ოსტატი თავის ხელითა, ხუცესი წირვით, ვაჭარი შორს წასვლით-მოსვლით ძნელითა. მოლაშქრე სისხლის ქცევითა, მხვნილი ოფლითა ცხელითა - გლახა კარისკარ თხოვნითა, შენა გნადს ან რომელითა?“ (გურამიშვილი)

\*\*\* „რა არის ჩვენი სიცოცხლე, თუ არა საქმე კეთილი? თუ არ აღვადგენთ დაცემულს, არ ვექმნეთ ნუგეშმცემელი? თუ არა ვდევნით ბოროტსა, მართლის არა ვართ მფარველი? სხვის კვნესა თუ არ გვანუხებს, სხვისა არ გვესმის ტკივილი?“ (გრიგოლ ორბელიანი)

\*\*\* „წინაპართაგან სამი საღვთო რამ შემოგვრჩენია: „ენა, მამული, სარწმუნოება, თუ ამას ვერ მოვუარეთ, რაღა კაცნი ჩვენ ვიქნებით?“ (ილია)

\*\*\* „უნდა გავმაგრდეთ გარეთ, უნდა განვმტკიცდეთ შიგნით, თუ სადმე წახვალ არედ, წიგნით და მხოლოდ წიგნით!“ (გალაკტიონი)

\*\*\* „ინგლისური კარგად იცი, გაქვს ნიჭი და ალლო. მაგრამ მშობლიურ ენაში ჩამორჩები, ბალო. დღეს ეს რჩევა საჭიროა ყველაფერზე უფრო. ქართულ ენას, „დედაენას“ უნდა დაეუფლო!“ (გრიშაშვილი)



# უკრაინელ დევნილთა დიდი ქომაგი



სკოლა მიხეილ გრუშევსკის სახელს ატარებს, ამით ყველაფერია ნათქვამი. ფიქრებს შორეულ წარსულში გადავყავართ. გვაგონდება დავით გურამიშვილი და ლესია უკრაინკა.

რუსთველი შთაგვაგონებს „ოდეს კაცსა დაეჭიროვს, მაშინ უნდა ძმა და თვისი“.

ჰოდა, ამ შეგონებას პრაქტიკულად ახორციელებს. „ძმა და თვისად“ ევლინება 41-ე სკოლა. მისი დიდი დირექტორის რევაზ ჯავახიშვილის, მისი მოადგილის ნელი სულთანაშვილის და ძლიერი პედაგოგების ძალისხმევით. როგორც იტყვიან თავის ლუკმას უყოფენ საზარელი ომიდან გამოდევნილებს საკუთარ ბაზაზე. ახლა იმაზეც მოკლედ ვისაუბროთ, როგორ მოღვაწეობენ თავად საკუთარ სკოლაში.

## დასათვისი ბავშრია — საბავშვო უხვი იქნება

სსიპ მიხეილ გრუშევსკის სახელობის ქალაქ თბილისის 41-ე საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს ორი სექტორი, ქართული და უკრაინული. სკოლას ჰყავს 18 წამყვანი და 1 მენტორი მასწავლებელი, რომლებიც ცდილობენ სასწავლო პროცესში სიხლეების დანერგვას. სკოლაში 2022 წლიდან გახსნილია უკრაინული სექტორი, სადაც უკრაინელ მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ მიიღონ განათლება მშობლიურ ენაზე. სკოლას ჰყავს არჩეული დირექტორი რევაზ ჯავახიშვილი. მოადგილეები არიან ნელი სულთანაშვილი და თეკლა

ფერაძე. სკოლა მუდმივად არის მზად სიხლეებისთვის, დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი ხელს უწყობს მოსწავლეთა განვითარებას, ცოდნის გაღრმავებასა და მოქალაქეობრივი თვითშეგნების ჩამოყალიბებას.

გიგზავნით სკოლის ღონისძიებებს, რომლებშიც აქტიურად იყვნენ წარმოდგენილი სკოლის მოსწავლეები. ჩვენს სკოლაში სისტემატურად ტარდება კონკურსები, ლიტერატურული საღამოები, გამოფენები, კონცერტები, ვიქტორინები, საქველმოქმედო აქციები, ვიზიტები მუზეუმებში, ექსკურსიები, პრეზენტაციები. გარდა ამისა, კლასის დამრიგებლები ზრუნავენ ემოციურ და ინტელექტუალურ განვითარებაზე,

ესწრებიან სპექტაკლებს, სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა მშობლების სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობაზე, ეს დასტურიცაა, რომ ისინი მუდმივად მონაწილეობენ სასკოლო ღონისძიებებში.

მოსწავლეთა ჩართულობა-აქტივობების იმდენი სანიშნო მაგალითი გვაქვს, პრაქტიკულად ვერ შევძლებთ მის გაშუქებას. არადა, ერთი რომ დაასახელო, სხვას გული დაწყდება: თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამოსო.

ჩვენ კი გვჯერა, შემოდგომაზე (ივნისის ბოლო სკოლებისთვის შემოდგომა) მომკული ბარაქიანი იქნება.

## აფხაზეთიდან დევნილი



გიორგი ამილახვარი: „2024 წლიდან ახალგაზრდული პოლიტიკა განათლების სფეროს სისტემური ნაწილი გახდა, რაც უზრუნველყოფს ახალგაზრდების საჭიროებებისა და მათ ინტერესებზე მორგებული მრავალფეროვანი პროგრამების, პროექტებისა და აქტივობების განხორციელებას“

საქართველოს განათლების,

მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრობის კანდიდატმა გიორგი ამილახვარმა პარლამენტში სამთავრობო პროგრამის წარდგენის ფარგლებში ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარებაზე ისაუბრა.

გიორგი ამილახვარი: „2024 წლიდან ახალგაზრდული პოლიტიკა განათლების სფეროს სისტემური ნაწილი გახდა, რაც უზრუნველყოფს ახალგაზრდების საჭიროებებისა და მათ ინტერესებზე მორგებული მრავალფეროვანი პროგრამების, პროექტებისა და აქტივობების განხორციელებას საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად.“

მინისტრობის კანდიდატის განცხადებით, 2023-2026 წლების სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგიის განხორციელების კვალდაკვალ, მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა ახალგაზრდების აქტიურ ჩართულობას მათთვის მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში. მათ შორის, ახალგაზრდული პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავების, იმპლემენტაციის, მონიტორინგისა და შეფასების მიმართულებით.

„ახალგაზრდებისთვის ხელმისაწვდომი გახდება საკვანძო კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობი ხარისხიანი არაფორმალური განათლებისა და ახალგაზრდული საქმიანობის პროგრამები, სტუდენტური ფესტივალები, საბანაკე, მოხალისეობრივი, საინფორმაციო და საკონსულტაციო სერვისები, საგრანტო პროექტები. გაფართოვდება საერთაშორისო თანამშრომლობა ახალგაზრდული პოლიტიკისა და ახალგაზრდული საქმიანობის მიმართულებით,“ — აღნიშნა გიორგი ამილახვარმა.



## ბერბანა საზანოელი

### სითბო სოფლისა

სპეციალურად თერჯოლის პირველ ბაღელებისთვის

თუ რამეს ჰქვია ქვეყნად სამოთხე, თუ რაიმეა თბილი ღვთის ხეში, უნდა ვეძებოთ სუფთა ჰაერზე, უნდა ვიპოვოთ სოფლის სიღრმეში.

ნახე სურნელი წყაროს კიდესთან, სხვა სამოთხეებს ნურსად ნუ ელი, სივრცის ნათება გამთენიისას ქოჩორა მამლის ძაღლთან დუელი.

ან ვაზის ყლორტთა ღელვა ნეკებად, მოსახვევამდე რომ უსმენს მანძილს, რომ იგრძნობ ყანის ღელვა ეკვეთა ცხრათვალა მზისგან შეუსმელ ბარძიშს.

მუდამ ვეძებოთ სუფთა ჰაერზე, შევიგრძნობთ მხოლოდ სოფლის სიღრმეში აი, რას ჰქვია ქვეყნად სამოთხე, რას ეწოდება სითბო ღვთის ხეში!



## შურაბ ბაპულაშვილი

### ღედის ნაცვრა

პატარა ანგელოზს ლიზი ჩიჩუას

შელის ნუკრივით სხარტი და შელის ნუკრივით მშვიდი, ზღაბრულ ფერისას ჰგავს ჩვენი კოხტა ლიზი.

ღედის გულის ვარდია, გასახარი სხვისი, ჯერ თოთო და ნაზია სულ კალთაში გვიზის.

მამის დიდი სიცოცხლე, თუმც, ჯერ ეს არ იცის, მინდა მუდამ სჯეროდეს პირობის და ფიცის.

ამომავალ ცისკარს ჰგავს ლიმილები მისი, ბედნიერი ბავშვობა ჩვენს საოცარ ლიზის.

თან დასდევდეს ნათება მთვარისა და მზისი, ღვთისმშობელი ჰფარავდეს თავის მამულისი.



# ქვედაბით დამტკიცებული შედეგები



ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2022 წლის 09 სექტემბრის საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნის შედეგად, სსიპ ქალაქ თბილისის 64-ე საჯარო სკოლის II კორპუსში 2022-2023 წლისთვის სასწავლო პროცესი შეჩერდა. სკოლის I კორპუსში სამ ცვლაში განთავსდა სამი სექტორი (ქართული, რუსული, აზერბაიჯანული). მიუხედავად ამისა, საკმაოდ ნაყოფიერად დაიწყო სასწავლო-შემოქმედებითი პროცესი ახალ სასწავლო წელსაც. სამეურვეო საბჭოს გადამწყვეტილებით, 2023 წლის 16 სექტემბერს, სკოლის დირექტორად დაინიშნა ხათუნა შენგელია, ხოლო დირექტორის მოადგილეებად – მარიეტა გიგაშვილი (ქართული სექტორი), თეა გელიაშვილი (რუსული სექტორი), ლილა გულიევა (აზერბაიჯანული სექტორი);

სკოლაში ფუნქციონირებს შვიდი კათედრა: საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, საზოგადოებრივი მეცნიერებების, ესთეტიკის, მათემატიკის, უცხო ენების, დანყებითი სწავლების და სპორტის.

მაღალკვალიფიციურ კოლექტივში 14 წამყვანი მასწავლებელი ჰყავთ: ნინო ასტამაძე, ეკატერინე ბაზერაშვილი, პაპუნა გაბისონია, ნანა გოგოლაძე, ნათია გოჩაშვილი, რუსუდან ერგემლიძე, ეკატერინე ვეკუა, ირინე იაკობიძე, მაია მატუა, ნანა მალაქაძე, მადონა მესხი, ნინო ნატროშვილი, თეა ნინუა, კახაბერ სულაკაძე;

გასული სემესტრის განმავლობაში, სკოლის საგნობრივი კათედრის წევრები ესწრებოდნენ გაკვეთილებს, რაც

ემსახურებოდა ურთიერთგაცნობასა და ერთმანეთის გამოცდილების გაზიარებას; დამრიგებლები წლის განმავლობაში ატარებდნენ „კლასის საათს“, რომლის მიმდინარეობა და შინაარსი წინასწარ იყო დაგეგმილი, მაგრამ ხშირად იცვლებოდა კლასის საჭიროებიდან გამომდინარე; დიდა მათი წვლილი ღონისძიებების ეფექტურად წარმართვაში, რომლებშიც განსაკუთრებული ხალისით დანყებითი საფეხურის მოსწავლეები მონაწილეობენ.

საბაზო და საშუალო კლასების მოსწავლეები წარმატებით მონაწილეობენ სპორტულ ღონისძიებებში. ყველა კლასი ჩართული იყო საერთო სასკოლო პროექტში „ჯანსაღი თაობა – ჯანსაღ გარემოში“, რომელიც წარმატებით მიმდინარეობდა

დანერეს და ერთმანეთს გააცნეს საკუთარი თემები; სასკოლო სასწავლო პროექტის – „სამხედრო საქმე“ – ფარგლებში IX კლასის მოსწავლეები სტუმრად იმყოფებოდნენ ვაზიანის სამხედრო ბაზაზე. ისინი გაეცნენ ჯავშანტექნიკას, დაათვალიერეს ყაზარმები, გასართობი ადგილები, სავარჯიშო დარბაზი, დააგეგმონეს საკვები, მიიღეს ამომწურავი პასუხები მათთვის საინტერესო კითხვებზე, მემორიალთან გაიხსენეს ომში დაკარგული ახლობლები და მათი გმირობის ისტორიები.

პედაგოგ ნინო ნატროშვილის ხელმძღვანელობით საინტერესო შეხვედრა გაიმართა კომპანია „ტენეს“ გენერალურ დირექტორთან ალექსანდრე ლილუაშვილთან, სადაც ნარჩენების მართვის, ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობა



მთელი სემესტრის განმავლობაში; მოსწავლეთა თვითმართველობის წევრებისა და სკოლის ხელოვნების მასწავლებლების მონაწილეობით ჩატარდა ასევე, საერთო სასკოლო კონკურსი „სკოლის დევიზი და ლოგო“, დასახელდა საუკეთესო ნამუშევრები და გამოვლინდა გამარჯვებულები; სასკოლო პროექტის ფარგლებში ინტეგრირებულმა კლასმა ჩაატარა ღონისძიება „სიკეთე გადამდებია.“ მოეწყო გამოფენა სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთა მონაწილეობით; დანყებითი კლასების პედაგოგთა აქტიურობით, მოსწავლეებმა, ამ საკითხთან დაკავშირებით,

ბის, ცნობიერების ამაღლებისა და სკოლათაშორისი თანამშრომლობის საკითხებს განიხილავდნენ; სასკოლო პროექტის ფარგლებში – „არა ქალთა მიმართ ძალადობას“, პედაგოგ ეკა ბაზერაშვილის ხელმძღვანელობით ჩატარებულ ღონისძიებაზე, მოწვეულ სტუმრებს საშუალო საფეხურის მოსწავლეების მიერ შექმნილი ბროშურები დაურიგეს.

სკოლის დანყებითი კლასების მოსწავლეები წარმატებით მონაწილეობენ ღონისძიებებში, რომელთა ეფექტურად დაგეგმვაში დიდი წვლილი მიუძღვით კლასის დამრიგებლებს. ეს კლასები გამოირჩევიან განსაკუთრებული აქტიურობით და ჩატარებული ღია გაკვეთილების სიუხვით: პედაგოგი ეკატერინე ლომიძე (I ბ კლასი) ქართულ ენასა და ლიტერატურაში – ი. გოგებაშვილის „გამორჩეული სტუმრები ა და ი“, მათემატიკა – „სტუმრად რიცხვი 10“, „ბარათები რიგობითი რიცხვებით“, „შექ-



მენი შენი გაკვეთილების ცხრილი“; ბუნებისმეტყველება – „შემოდგომის დღე“; სემესტრის ბოლოს კი საახალწლო ვიქტორინა და საახალწლო ზეიმი; პედაგოგი ნანა მალაქაძე (IV ა კლასი). ჩატარებული სასწავლო ღონისძიებები: ქართული ენა და ლიტერატურა – „სიკეთე გადამდებია“, სადაც მოსწავლეებმა იმსჯელეს შესრულებულ თემებზე და სიკეთეზე; სემესტრის ბოლოს კი დამრიგებლის ხელმძღვანელობით საახალწლო ზეიმი ჩატარდა; პედაგოგი მაია მატუა (IV გ კლასი) ქართული ენა და ლიტერატურა – „სიკეთე გადამდებია.“ წიგნიერების ასამაღლებლად შექმნილ „მკითხველთა კლუბში“ მოსწავლეებმა წაიკითხეს არაერთი მოთხრობა, ზღაპარი, იგავ-არაკი თუ სათავგადასავლო მოთხრობა. „მხიარული ოჯახის“ ავტორ ლელა ცუცქერიძესთან ერთად, წაკითხული წიგნის შესახებ იმსჯელეს.

საინტერესოდ წარმართა დებატები VI ა კლასში, თემაზე „მშობლებისა და შვილების ურთიერთობა“ (ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი სალომე ჯინორიძე), სადაც ბავშვებმა იმსჯელეს და განიხილეს მაგალითები სხვადასხვა ლიტერატურიდან;

VII ა და VII ბ კლასში ისტორიის პედაგოგ ანა ბალანჩივაძის ხელმძღვანელობით, მოსწავლეებმა ჯანაშიას სახელობის ისტორიის მუზეუმში პირველყოფილი ადამიანების თავის ქალები მოინახულეს და გაკვეთილზე „ქვის ხანის ეპოქა“ გააცოცხლეს, ჩაატარეს პრეზენტაცია „მე მუზეუმის თანამშრომელი“.

საინტერესოდ წარმართა IX ა კლასში ქართულ ენისა და ლიტერატურის პედაგოგ ლიკა გოგოლაძის ღონისძიება – ადამიანის ზნეობრივი ვალი „ავთანდილის ანდერძის“ მიხედვით; ასევე, IX ბ კლასში ჩატარებული სასწავლო ღონისძიებები: ქიმიის პედაგოგ ნინო ნატროშვილის

კვლევითი სამუშაოები და ცდები; ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგ რუსუდან ერგემლიძის „ავთანდილის ანდერძით შთაგონებული სიბრძნე და პოეზია“; ინგლისური ენის პედაგოგ მაკა ლაპი-აშვილის ხელმძღვანელობით, ჯგუფების მიხედვით ჩატარებული პრეზენტაცია ინგლისურ ენაზე – „ჰაერის, წყლისა და მიწის დაბინძურება და მისი აღმოფხვრის გზები.“

X კლასში ისტორიისა და ქიმიის პედაგოგების ანა ბალანჩივაძისა და ნინო ნატროშვილის ინტეგრირებული გაკვეთილი – „მეტალები და შენადნობები კაცობრიობის ისტორიაში“, სადაც ისაუბრეს ძვირფას ლითონებსა და არქეოლოგიური გათხრების შედეგებზე, მუზეუმში მოინახულეს ოქროს ფონდი, შექმნეს რამდენიმე რესურსი, ჩაატარეს ცდები; ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგის მაია მატუას ინსცენირებული გაკვეთილი „21-ე საუკუნის მოსწავლეები და ქართული ჰაგიოგრაფია“. X დ კლასი – ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგ ლიკა გოგოლაძის ღონისძიება „ახალი ქართლის იდეის შემოქმედნი.“

სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის კიდევ უფრო უკეთ წარმართვის მიზნით, სკოლაში აქტიურად ფუნქციონირებს უფასო წრეები: მათემატიკის – „პითაგორელები“, მკითხველთა კლუბი „გონიერი“, სტემ კლუბი „მოლეკულა“, ქართული ენა არაქართულენოვანი მოსწავლეებისთვის, ჩინურის წრე. სმენის დარღვევის მქონე მოსწავლეებისთვის კი სკოლას აქვს ინტეგრირებული კლასი. ეს სწავლისა და აღზრდის ის კერაა, სადაც ქალბატონი ხათუნა და სკოლის დირექტორი მუდმივად ზრუნავს სწორად მოაზროვნე მომავალი თაობის განვითარებაზე.

ნათია გუბუნაძე





საქმიან შინაგან...

# ქალაქის სიკეთედ ქცეული სკოლის პროექტი



ლათინური ანდაზა გვარწმუნებს, გამეორება ცოდნის დედაა. მაგრამ – როგორი გამეორება? ადგილზე ტკეპნაც ხომ გამეორებაა? აი, ისეთი გამეორება, თან სახსრებშიც რომ გულისხმობს.

ამ ანდაზის პერიფრაზით, თბილისის 108-ე საჯარო სკოლას, განათლების დარგის გამოცდილი, ამაგდარი მუშაკი, ქალბატონი მაია მღვდელაძე რომ უდგას სათავეში, ჩვენი გაზეთი რამდენჯერმე მიუბრუნდა და, ყოველ მიბრუნებაზე, უკვე მიღწეულთან ერთად, პედაგოგიკური ახალ-ახალ ნარმატებებს, პროექტებს, ინიციატივებს გვახვედრებდა.

აი, ახლაც სკოლამ ისეთი პროექტი განახორციელა, ისეთი მაკეტი შეადგინა, რომ



საყოველთაო მონონება დაიმსახურა და მის საფუძველზე დედაქალაქს დიდებული სკვერი შეემატა.

როგორ მოხდა ეს? ამ პროექტის ინიციატორსა და განმახორციელებელს (ცხადია, მოსწავლეებთან ერთად და ადმინისტრაციის სრული ხელშეწყობით, 108-ე საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს, ქალბატონ ლალი სურმაძეს მოვუხსინით.

პროექტებით სწავლება მოსწავლეებში თვითშეფასების ამაღლებასა და სწავლისადმი მოტივაციის გაზრდას უწყობს ხელს.

ამიტომაც ვაქცევ ამას დიდ ყურადღებას და, მოსწავლეებთან ერთად, ბევრი საინტერესო პროექტი განმიხორციელებია. რთულია გამოჩვენო, მაგრამ მინც შევაჩერებ ყურადღებას VIII კლასის მოსწავლეების მიერ შესრულებულ პროექტზე „სკვერის დაგეგმარება“, რომელიც კონკრეტული საკითხის – „ოთხკუთხედი, ბრტყელი ფიგურების ფართობი“, შესწავლის პროცესში განვხორციელეთ. პირობის მიხედვით, მოსწავლეებს გამოყოფილი ჰქონდათ მინის ნაკვეთი, რომელზეც უნდა გაეშენებინათ პარკი. საამისოდ კი გეომეტრიული ფიგურები გამოყენებინათ და ისე გაეგნაწილებინათ პარკის ფართობი, რომ წარმოეჩინათ რომელი გეომეტრიული ფიგურები გამოიყენეს, რას შეუსაბამეს თითოეული მათემატიკური ნაწილი ნაწილის ფართობი; თუ იყო რომელიმე ადგილი, რომელსაც არ ჰქონდა მათთვის ნაცნობი გეომეტრიული ფიგურის ფორმა, უნდა ეთქვათ, როგორ გამოთვლიდნენ მის ფართობს. მოსწავლეები ხალისით ასრულებდნენ დავალების ყველა ეტაპს და აქტიურად იყვნენ ჩარ-

თული სასწავლო პროცესში. ნამუშევრები ნაწილმა მაკეტებად წარმოადგინა. ნაწილმა კი – სასწავლო რესურს Minecraft-სა და Geogebra-ში.


2022 წლის ზაფხულში რაიონულ კონფერენციაზე, ძალიან საინტერესო სხვა მომხსენებლებთან ერთად, მეც ვიყავი, ჩემ მიერ განხორციელებული პროექტი და მერვეკლასელი მოსწავლეების შექმნილი მაკეტი წარვადგინე. მაკეტმა დამსწრეთა დიდი მონონება დაიმსახურა. შემდეგ – განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სამგორის რაიონის გამგეობაში.

გამგეობას მაკეტი იმდენად მოეწონა, რომ სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე დაიწყო მოსწავლეების მიერ შექმნილი მაკეტის მიხედვით სკვერის პროექტირება და მოწყობა, რაც ნარმატებით დასრულდა კიდევ.

2023 წლის 4 დეკემბერს ქალაქს შეემატა სკოლის მოსწავლეების მაკეტის მიხედვით დაპროექტებული თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად 3200 კვ. მეტრის ფართობზე გაშენებული ულამაზესი სკვერი.

სკვერი არ გაშენდებოდა სამგორის რაიონის გამგებლის ბატონი კახა სამხარაძისა და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ძალისხმევით გარეშე.

პროექტის მიხედვით, სკვერში დამონტაჟდა საბავშვო ატრაქციონები, მოსასვენებელი სკამები, მოეწყო ბილიკები, განათების სისტემა და ტერიტორია სრულად გაშენდა. ახლა ეს ადგილი არა მხოლოდ ბავშვების, არამედ მთელი მიკრორაიონის საყვარელი ადგილია. სკვერის გახსნას ესწრებოდნენ განათლებისა და მეცნიერების



სამინისტროს წარმომადგენლები, სამგორის რაიონის გამგებელი და გამგეობის წევრები, სამგორის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი რეზი სოსხაძე, ქალაქის მერის მოადგილე კახა გულუდანი, პარლამენტის წევრი ქეთი ჩარკვიანი, სასკოლო საზოგადოება და თემი.

წარმოიდგინეთ მოსწავლეების, ჩემი, სკოლის, რეფორმის მხარდამჭერი გუნდის ემოციები...

## ლალი სურმაძე,

თბილისის 108-ე საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი



135-ე ბაგა-ბაღი

# ბავშვთა აღზრდის ლამაზი ქერა



თბილისის 135-ე საბავშვო ბაგა-ბაღში (დირექტორი თამილა ხარშილაძე) აღსაზრდელების განვითარებისა და სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის სწორად და ხარისხიანად წარმართვისათვის საუკეთესო პირობებია შექმნილი. განხორციელდა ბევრი ინფრასტრუქტურული პროექტი, გარემონტდა და მოწესრიგდა სააღმზრდელო ჯგუფები, სამზარეულო, სველი წერტილები. 2023 წლის ზაფხულში თბილისის საბავშვო ბა-



გა-ბაღების მართვის სააგენტოს მიერ გარემონტდა დერეფნები. ბაგა-ბაღს აქვს დიდი გამწვანებული ეზო ატრაქციონებითა და სათამაშო მოედნით. ეზოს სავალი ნაწილი მოასფალტებულია. თბილი ამინდების დროს, პატარები დროს დიდ ნაწილს სუფთა ჰაერზე ატარებენ. მათთვის ჯგუფებში უამრავი სათამაშო და გასართობია, აქტივობებისთვის მოწყობილია სხვადასხვა ცენტრი; აქვე ლამაზად გაფორმებული დიდი



მუსიკალური დარბაზი, სადაც გასართობ ღონისძიებებსა და აქტივობებს ატარებენ. ბაღში სააღმზრდელო პროცესი კურსიკულუმის დაგეგმილი მეთოდოლოგიით მიმდინარეობს, დიდი ყურადღება ექცევა კვებას და ჰიგიენურ მდგომარეობას, მუშაობენ ჰასპის დანერგვის სტანდარტით. აქ 12 სააღმზრდელო ჯგუფია, აქედან 3 – ბაგის და 9 – ბაღის. ფიზიკური გარემო რომ პატარებისთვის უსაფრთხო და საინტერესოდ მოწყობილი უნდა იყოს, ეს კოლექტივის თითოეულმა წევრმა კარგად იცის. ამ საქმეში საკუთარი წვლილი შეაქვთ: დირექტორის მოადგილე ქეთევან ყოლბაიას, ჯანმრთელობისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორებს – ნანა კალანდაძესა და ნათია ორთანე ზაშვილ-საბაძეს;



ბაგა-ბაღში ფუნქციონირებს მულტიდისციპლინარული გუნდი: სასწავლო პროცესს ხელმძღვანელობენ მეთოდისტები – მარინა ხუციშვილი და ირმა თაბაგარი; ფსიქოლოგი ვიოლეტა მახარაძე; სპეც. პედაგოგები – თამარ ბინკინაშვილი, ეთერ მჭედლიძე; აღსაზრდელების მეტყველების განვითარებაზე ზრუნავს ლოგოპედი რუსუდან აბუსერიძე; ისინი აკვირდებიან და აფასებენ ბავშვთა განვითარებას, მართავენ შეხვედრებს მშობლებთან და განიხილვენ მათთვის საინტერესო საკითხებს.

სააღმზრდელო ჯგუფებში შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფების პროგრამებს წარმატებით ახორციელებენ კვალიფიციური აღმზრდელები: სოფიო ლომიაშვილი, ირმა ტერაშვილი, ნათია სადალაშვილი, მაია ხვედელიძე, შორენა ნიორაძე, მაია სარალიძე, ნეტა მერაბიშვილი, მედიკო გაფრინდაშვილი, ნინა კარაპეტციანი, მაია ჯაოშვილი, ნათია გელოვანიშვილი, თამარ გორდუზიანი, ქეთევან მეშველიანი, ეკა ქოიავა, ყუყუნა ფეიქრიშვილი, დარიკო დოლიძე, ხათუნა დავაძე, ლია გუჯაძე.

წლის მანძილზე ტარდება საშემოდგომო, საახალწლო ღონისძიებები, აღინიშნა ნიგნის კითხვის დღე; მუსიკისა და

ცეკვის აქტივობებზე კი მუდამ ხალისი და სიხარულია, სადაც მუსიკის პედაგოგები – თამარ მორჩილაძე და თამარ ტალახაძე პატარებს სხვადასხვა თემატური აქტივობებისთვის ამზადებენ. ბაგა-ბაღის სუფთა, მონერგიული და უსაფრთხო გარემო კი ტექნიკური პერსონალის დამსახურებაა.

როგორც ქალბატონმა თამილა ხარშილაძემ აღნიშნა – თბილისის მერიისა და საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელობის მხრიდან, სკოლამდელი აღზრდის დანერგვების მიმართ, განსაკუთრებული, გულისხმიერი მიდგომაა და აღსაზრდელებისთვის შექმნილია საუკეთესო პირობები.

იმედია, დასახული მიზნების შესრულებას შეძლებენ და პატარებს კიდევ უფრო ლამაზ დღეებს აჩუქებენ.

ნათია ბურბანიძე





# ნუკრი ლობჯანიძე - 60



ნუკრი ლობჯანიძე

„ჩემი, შენი საქართველო“- ასე ეწოდება ნუკრი ლობჯანიძის ახალ წიგნს, რომლის წარდგენა პოეტის 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით, მწერალთა სახლში გაიმართა. საღამოს უძღვებოდა პოეტი დეზი ემანუელიძე და მას ესწრებოდნენ პოეტები, მწერლები, ახალგაზრდა მკითხველები. ლექსების კრებული დაიბეჭდა გამომცემლობა „ზენაარ“-ში და მისი რედაქტორია გაზეთ „სახალხო განათლება“-ის რედკოლეგიის თავმჯდომარე ზურაბ ქობალია.

საღამოზე, შეკრებილმა საზოგადოებამ გულწრფელი პატივისცემა გამოხატა იუბილარი პოეტის მიმართ და მას ლექსებით და სიმღერებით მიულოცეს დაბადების დღე. აღნიშნა, რომ ნუკრი ლობჯანიძის შემოქმედებას ლაიტმოტივად სიყვარული გასდევს და მრავალმხრივი საქმიანობის მიუხედავად, პოეზიასთან კავშირი არ გაუნწყვეტია.

პოეტი ასე გვიყვება თავის ბიოგრაფიას: დაიბადე 1964 წლის, ერთ თოვლიან ღამეს 1 თებერვალს, საჩხერის რაიონის სოფელ ჯრიაში. ოთხი დედამამიშვილის მეხუთე ძმა გახვდით. მამინ მდინარე ჭურნალისწყლის პირას ვცხოვრობდით. სოფლიდან მოშორებით, ტყისპირას გვედგა ორსართულიანი ხის სახლი. ექვს წლამდე იქ ვიზრდებოდი. შემდეგ კი, საცხოვრებლად გადმოვედით სოფლის მჭიდრო დასახლებაში. 1980 წელს დავამთავრე პერევის საშუალო სკოლა. 1980 - 83 წლებში ვსწავლობდი დიდი ჯიხაშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში. ასევე მოვიხადე სამხედრო სავალდებულო სამსახური, რომლის დასრულების შემდეგ დავამთავრე სოხუმის საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი, აგრონომის კვალიფიკაციით. სხვადასხვა პერიოდში, ვმუშაობდი სახელმწიფო სტატისტიკის საჩხერის რაიონული განყოფილების უფროსად, რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს და ბოლოს, სატყეო მეურნეობის ხელმძღვანელად. ამჟამად კი, დასაქმებული ვარ კერძო სექტორში, ჩემი პროფესიით - გამწვანების სფეროში.

რაც შეეხება შემოქმედებით საქმიანობას, ლექსების წერა მე-8 კლასიდან დავიწყე. ვწერდი ჩემთვის... თუმცა, მაინც შემამჩნია ქართული ენისა და

ლოტერატურის მასწავლებელმა რუბენ შუკაკიძემ. ძალიან მორიდებული ვიყავი, ცოტა დავიმორცხვე, მაგრამ წერას მაინც განვაგრძობდი. პირველი ჩანახატი „რწმენა“ დაიბეჭდა იმდროინდელ რაიონულ გაზეთ „ახალ ცხოვრება“- ში. იმავე წელს მიმინვიეს ნორჩ შემოქმედთა რესპუბლიკურ შეკრება-სემინარზე, კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეში, სადაც დავჯილდოვდი სიგელით „ნორჩი შემოქმედი“. იმ დროიდან მოყოლებული, ჩემი ლექსები ხშირად იბეჭდებოდა როგორც რესპუბლიკურ, ისე რაიონულ პრესაში.

90 იანი წლებში კი, ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე, განწყობა არ მქონდა რაიმე გამომეძვევებინა. რამოდენიმე წელია, რაც ახალი ენერგიით მივუბრუნდი პოეზიას და არაერთი კრებულის თანაავტორი გახვდით. მწერალთა კავშირის წევრისა და ჯუმბერ ლეჟავას აკადემიის წევრიც გახლავართ. ბატონ ზურა ქობალიას დამსახურებაა, რომ წიგნის გამოცემაზე დამაფიქრა. მორალური მხარდაჭერა ვიგრძენი გერმანე საზანოელის და ბევრი ჩემი თანამოქალაქისაგანაც. ახალი კრებულის „ჩემი, შენი საქართველო“-ს რედაქტორობა ზურა ქობალიამ იტვირთა და კარგადაც გაართვა თავი. დიდ მადლობა მას კარგი მეგობრობისთვის.

ნუკრი ლობჯანიძის პოეზიისადმი ინტერესი, დიდი კლასიკოსების სიყვარულმა განაპირობა. მას განსაკუთრებით ხიბლავს გალაკტიონისა და მურმან ლებანიძის შემოქმედება.

ბატონი ნუკრის ლექსების თემატიკა პატრიოტულია, ასევე, დიდი ადგილი აქვს დათმობილი სატრფიალო ლირიკასაც.

## თუთის ხესთან

გახსოვს, ის საღამო თუთის ხესთან? როგორ გიხდებოდა თეთრი კაბა, მთხვოვდი, შავი თუთა მუჭა-მუჭა, შენთან ერთად უხმოდ მეც მეჭამა. მერე, მე შენს ტურქებს ვეღარ ვცნობდი, თავ-გზა ამიბნია შავმა ფერმა, შეგპირდი, წყაროზე ჩაგიყვანდი, ვეღარ მოვახერხე გაგაკება. ისე დაგვალამდა, ვერ გავიგეთ, მხრებზე მოვიხურეთ ნისლის ბადე, ციდან ვარსკვლავები გამქრალიყვნენ, ღრუბლებს დაეფარა ბადრი მთვარეც. იქნებ, სახლში დედა კი გეძებდა, გახდი მატყუარა, ცელქი გოგო, გსურდა, ჩემთან ერთად, თუთის ხესთან, ღამე გაგეთია, ერთხელ მხოლოდ. აღარ დაეძებდი, რას იტყოდნენ, აღარც მამის რჩოდი გაბრაზებას, თუთა გიყვარდა თუ მე გიყვარდი, აქაც გვიღალატეს ვარსკვლავებმა. გუმინ გავიარე იმ თუთასთან, ჩვენი ნაკვალავის მოსანახად, ის ხეც ჩემსავით მოხრილიყო, როგორ შეცვლილხარო, მომაცხა!

## ოცდაათი წელია

ოცდაათი წელია, გულს ჭია ღრღნის ლოდინის, თუმცა ტკივილს ვერ ვშველით, ბედის მონა-მორჩილნი.

დღე არ გათენებულა, ფიქრად რომ არ მენახე, რომ არ მოვფერებოდი, შენს ბალებს და ვენახებს.

არ მომეველო ოცნებით, გულრიფში და ბიჭვინთა, რინის ტბაზეც ავდივარ და გზას ვთელავ იჭვიანს.

ჩამოვივლი სოხუმის, ყველა ქუჩას კარდაკარ, და სიმღერას აფხაზურს, კვლავ ქართულად გავრანდავ.

გუნდას ვნახავ და ლიხნში, ადამურსაც ვენვები, სანამ ჯერ არ წაშლილა, აქ ქართული ფესვები.


ყელს ჩამიტკობს დულრიფში, აფხაზური კაჭიჭი, ობლად, რომ მიგატოვე, ავტირდები ბავშვივით.

მორდუობას ჩვეული, როგორ გადავეჩვიეთ, მე თუ მანდ ჩამოვედი, შენ თბილისში მენვიე!

სისხლმა სისხლი, რომ იცნოს, ტყვია სულ არ სჭირდება, მოდი ერთად ვიაროთ, თორემ გაგვიჭირდება.

შენ აფხაზად დარჩები, მე კი შენს ძმად ვივარგებ, თორემ სხვისი მონობით, მივალთ გასაჭირამდე!

## მზია გობოძა



მზია გობოძა



ზურაბ ქობალია

## როგორც ორ არაგვს

მიყვარხარ როგორც ორ არაგვს მტკვარი, თეთრიც და შავიც მისკენ ილტვიან, ესე ცხოვრება ისეთი არი ლამაზი, როგორც შენზე იტყვიან.

ვცდილობ სპეტაკად მოვიდე შენთან, არ ავიმღვრე და არცა გავირყენა, შავიც ვათეთრო და შენთან თეთრად მარადიული ზარით დავრისხავ.

ახლა ვფიქრობ და ადრეც მქონია აზრი აქამდე გაუფილტრავი, შენი სახება ჩემი მგონია, შენით მოვხატე გულის ფიცარი.

მთელი სამყარო ჩემი მგონია, ცალკე ვით ვიყო შენი ზიარი, აქ სიყვარულის კაჟაფონია არის უბრალოდ ადამიანი.

მარად და მუდამ მოვილტვი შენკენ, როგორც არაგვი ორთავე შლეგი, შენ იყო თითქოს ის მღვრიე მტკვარი, ან სხვაგან მბრბოლი მდინარე თერგი.

რომელსაც სულაც ვეღარ მივწვდები, სხვაგან გიჭირავთ ორთავს სვლაგეზი, კვლავ საძებარი ის ჩემი ბედი, საით გამექცა, ვერაფერს ვხვდები.

## არაფერია მუდმივი

თურმე კვლავ ბრუნავს ეს დედამიწა, მე კი მეგონა, დრო თუ გაჩერდა, ახალგაზრდობა საით წავიდა, დროსა და საათს არც რომ ამჩნევდა.

გამოიარეს სხვადასხვა დროში, ზოგი ჩარჩა და ზოგს აგვიანდა, ბევრი იბრძოლეს სხვადასხვა დროში, დრომა არსად ჩანს არაგვიანთა.

იქნებ მივაგნოთ ჩალისფერს დრომას, სიმბოლოს ქართველთ ერთიანობისა, გაუძლო, ვინძლო, რომელმაც დრო-ჟამს, არ გაიკარა დარდ მონობისა.

იქნებ მედროშეც ვიპოვოთ, იგი კვლავ წარუძღვება ქართველ მეომრებს, რომ არ დაუთმოთ სამშობლოს წილი არც უცხო ტომელთ და არც მეზობელთ.

მაღე დადგება დრო სამური და დედამიწა კვლავაც იბრუნებს, რომ დაიბრუნოს ის დაკარგული, გვეროდეთ, მაღე რომ დავიბრუნებთ.





მანანა ზოიკა

### ისევ შეგვიწყალო

ღმერთი დაილაღა ჩვენი უგნურობით, სამყაროს „ნეგატივი“ აზანზარებს, შური და ბოლმა გახდა ჩვენი ჰობი, - არ გესმით, სატანა რარიგად ხარხარებს?!

ღმერთო, შენ მოგვეცი ისევ, გზანი-ხსნისა! ბოროტს ნუ ექნება გასაქანი... დაე, კეისარს-კეისრისა! გამოჩნდეს შავ-თეთრის გზასაყარი.

ღმერთო, შენ შემუსრე ყველა ავისმქნელი, საქმე დაუმარცხე, ვერ იმარჯვოს! სიკეთეს, ერთგულებას, ფრთა შეასხი, მხოლოდ სიყვარულმა გაიმარჯვოს!

მხოლოდ სიყვარული, მხოლოდ სიხარული! ბევრი პოზიტივი, ბევრი ფერი, ღმერთო! ბევრი მზის სხივები, ბევრი თბილი გული - შენ ეს შეგიძლია, ქვეყნად ერთადერთო!

ვიცი, რომ დაგლაღეთ და ბევრჯერ გატკინეთ, თუმცა შვილის განწირვა, ვერ არის ადვილი... ისევ მოგვიტევე, ისევ შეგვიწყალო, და კვლავაც დაგვხურე, ნამუსის მანდილი!

### ერთხელაჯ სხივი ჩემთან მოვიდა

როცა მეგონა, რომ ყველაფერი წარსულს ჩაბარდა, გაუფერულდა, სასომიხილი უგონოდ ვეგდე ჩემი ცხოვრების მძიმე ფერხულთან...

არ მადარდებდა აღარაფერი: რა, რისთვის, რატომ, ნეტა საიდან?! ...და როგორც თოვლის ძველი ნამქერი, შემოვრჩენოდი მზის სხივს - დაბლიდან.

ერთხელაც სხივი ჩემთან მოვიდა და საკინძეზე გამეთამაშა... მითხრა: გამომყე, მოვედ შორიდან, უნდა გაეტეხოთ შენი თამასა!

დავფიქრდი: ალბათ გავყვე, ჯობია, მზესთან სახლობა ცუდი როდია?! მზე სითბო, სიტკბო-სიყვარულია და მასში მთელი ქვეყნის გულია.

იქნებ გამათბოს, იქნებ გამაღვოს, იქნებ ცხოვრება სხვამხრივ მანახოს... ...მე წამოვდექი ამ შემართებით და იმ დღის შემდეგ მზის რიტმს ავყევი...

გათენდება და... ჩემშიც ინათებს სულს ჩაეღვრება სითბო, სინათლე... მას შემდეგ ჩემში მუდამ დარია და ავდრისათვის აღარ მცალია!

### ისევ სიყვარულში ვამხელო...

მთაში ქოხში, ღამეს ვათრობთ ღვინით... ცეცხლის ალი ქარგავს ღამაზე ტუჩებს... შენს სხეულში ფორიაქობს ჟინი, გრძნობა ვნებას, სულთან აღარ უშვებს... ჩემს თვალეში წაკითხული ბნკარი... შენს სულს ფაქიზ მოგონებად ახსოვს. არასდროს არ მომიხურო კარი! თორემ, მერე მარტოობას ათოვს!... ცეცხლის შუქზე როკავს ფიცხი ქალი... თეთრ მანდილში გახვეულა მთვარე. დადის ტყეში სანადიროდ დალი, წაუშლიათ ნადირთ კვალი ქარებს... ქოხი მთაში... მშვიდი, თბილი ღამე... ზღაპარში ვარ! თვალებს აღარ ვახელო, ძველებურად ვერ დავითვლი წამებს, ჩემს თავს, ისევ სიყვარულში ვამხელო...

### იანვრის სიზმარი...

დაორთქლილ ფანჯარას ვეხები თითებით, ყინვა, კი ღამაზად მიხატავს ფიგურებს. მერე მე ვაცოცხლებ მათ, ზღაპრულ მითებით მინიდან მხატვარი, ლიმბით მიყურებს... ყინულის დედოფალს აშინებს სინათლე, ვერ იტანს სითბოს და ფანჯარას შორდება. კონკიას ზღაპარი უფრო ჰგავს სიმართლეს, ზღაპარი, რომელიც არ განმეორდება... ფანჯარა გაივსო უამრავ ფერებით, პრინცესა დავხატეთ დედოფლის კაბაში... გარედან შემოდის წყვეტილი ბგერები და თითებს სწყინდებათ მხატვართან თამაში... დასრულდა მინაზე ყინულის ზღაპარი, სიზმარში სიცივე იხუტებს ჩემს თითებს... ბუხარში ღვივდება მძინარე ღადარი, გონება ინახავს დაბნეულ ძველ მითებს...

### ველარ გაპატიე...

ქარის მიმოფანტულ გრძნობებს, ისევ ძლივს ვაბრუნებ სახლში, სულში გამორღვეულ ღობეს, ალბათ, ცრემლის წვიმა დაშლის. შენთან დავასრულე ომი, მერე გავიხსენე გზაში, თურმე ყველაფერი მორჩა, როგორ შემეშალე მაშინ... წუხელ გადათეთრდა ველი, ჩვენი სიყვარულის წერა, ეს კი დასასრული იყო, უცებ ჩაიფერფლა კერა... ქარის ნაბოროტალ ფიქრებს, ველარ მოერია დარდი, ზოგჯერ ყველაფერი ყვავის, ფეთქავს თოვლიანი მარტი... წარსულს ვერ ვივინყებ უცებ,



ლიკა ვარცვანი

წლები დამიკოცნის თითებს, მერე მოგონებაც მშვიდად, მჩუქნის ჩემს საყვარელ ტიტებს... მსუბუქ მელიოდის უკრავს, ქუჩის მუსიკოსის სევდა, მე ვერ გაპატიე წასვლა, ქარი შენს ბარათებს ხევდა... ცრემლებს დაეკიდა დარდი, ტურფა ისამანს სცივა, წლები ნატარები შენთან, თვალზე ფანტელვად მცვივა... თეთრი ფიქრი კარებს ალებს, ღამეც აატირა მთვარემ, ბოლო ჭიქით დარდის ნალებს, დავლევ უსათუოდ ბარემ...

### გადავიფიქრე...

გადავიფიქრე, მე შენგან წასვლა, ან როგორ წავალ...ეს ხომ რთულია. ვთქვათ, სხეულიდან შევძელი გასვლა, სულიც შენს სულში ჩახლართულია.

ამოდ ვცდილობ გზები გავყარო, არადა ის ხომ მე ავაშენე, რომც გამებუტოს მთელი სამყარო, მას სიყვარული კვლავ დაამშვენებს...

როგორ მიყვარხარ... შენ რომ იცოდე, ჩემს ყველა ზღაპარს დაიჯერებდი, მონატრებისგან სულ რომ ინვოდე, ცას ცრემლად დაღვრილს გაიხსენებდი...

დღეს ისევ შიშმა მომიალერსა, სულს გადახადა მძიმე საბანი. იმ ღამეს წვიმამ მეხი გალექსა, დილით აფეთქდა ისამანი...

როგორ წავიდე...ფიქრიც კი მაკრთობს, არადა სხვა გზაც ჩაკეტილია, ჯერ კიდევ შენი სურნელი მათბობს... თუმცა თმენის ძაფი განყვეტილია...

გადავიფიქრე მე შენგან წასვლა...

გაზეთ „სახალხო განათლება“ და იაკობ გოგებაშვილის სახელობის ეროვნული პედაგოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ქალბატონ იზოლდა (ნანული) ბურძგლას გარდაცვალების გამო და უთანაგრძნობს მის ოჯახს. **იზოლდა (ნანული) დავითის ასული ბურძგლა** დაიბადა 1940 წელს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ენერში მოსამსახურის ოჯახში. 1959 წელს დაამთავრა სოფელ ლეჩის საშუალო სკოლა. 1960 წელს ჩაირიცხა ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ რამდენიმე წელიწადი მუშაობდა თბილისის საღამოს ცვლის 23-ე და 77-ე საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. XXII

და XVIII რესპუბლიკურ სამეცნიერო პედაგოგიურ კონფერენციაზე წარმოდგენილი საუკეთესო მოხსენებებისათვის დაჯილდოებული იქნა პირველი ხარისხის დიპლომით. 1982 წელს დაამთავრა ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიზნობრივი ასპირანტურა. 1986 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე საზოგადოებრივი მოვალეობის შეგნების აღზრდა მუშა მოსწავლეებში, რომლის შედეგად მას მიეკუთვნა პედაგოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. 1986 წლიდან მუშაობდა ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ მეცნიერებათა ეროვნულ ინსტიტუტში წამყვან მეცნიერ-თანამშრომლად. კითხულობს ლექციებს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში. მათ შორის, თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტში. იკავებდა მოტივირებული პროფესორის წოდებას.



იზოლდა ბურძგლა არის საქართველოს ჟურნალისტიკა ფედერაციის წევრი. გაზეთ „ბავშვთა ქომავის“, „მამული, ენა, სარწმუნოების“ რედაქტორია. გამოქვეყნებული აქვს 40-მდე საგაზეთო სტატია და სამეცნიერო შრომები. ჰყავს ერთი ქალიშვილი **ლიმი ბურძგლა**.



# ეთერ გობაუვილი - ისაკაძე



ეთერ გობაუვილი - ისაკაძე

როცა ადამიანს ასაკი ემატება, იგი ცხოვრების განსხვავებულ გამოწვევას ღებულობს. ამიტომ, ადამიანმა უნდა მოახერხოს და რაც არის მასში ფასეული და ღირებული, იმის სამოქალაქო სივრცე უნდა შექმნას.

ზოგი გრძნობებს აყოლილი ძალადობს თავის თავზე, ეძებს რაღაც მიუღებელს ან მიუწვდომელს მანამ, სანამ მას გონება არ შეაჩერებს, რომ მას ამის უფლება არ აქვს.

ზოგი კიდევ მშვენიერებისა და სილამაზის ხიბლით შემოსილი, როცა ყველაფერი წმინდა და სამართლიანი გიზიდავს, როცა მიუხედავად უამრავი ცხოვრებისეული სირთულეებით გამოვლილი წარსულით დამძიმებული, მაინც თავდაჯერებული ხდები. სიკეთის და სიყვარულის თესვით ძლიერდები და შთაგონება გეძლევა - გაუღიმო ცხოვრებას.

აი, ასეთად მესახება გამოუთქმელი შინაგანი ძლიერებით და შეუდარებელი აქტიური გონებით შემოკობილი, ნიჭიერი შემოქმედი ქ - ნი **ეთერ გობაუვილი - ისაკაძე**.

იგი ერთ-ერთი იმთავანია, ვინც ჩვენს ყოფას ალამაზებს, ვინც დაგვაფიქრებს, სიკეთისკენ მიგვანიშნებს და შეგვახსენებს, რომ ცხოვრება საინტერესოა მაშინ, როცა პიროვნულზე უფრო თავდაუზოგავი, მაღლიანი საქვეყნო საქმის საკეთებლად ხარ დაბადებული. მას ჯერ კიდევ გრძელ ნაწნავებზე ქათქათა ბაფთები ეკეთა, როცა ნიგოითის სა-

ჯარო სკოლიდან, ადვილად შეათავსა ქართულ ხალხურ ანსამბლში მონაწილეობა და 1974 წელს ქ. მოსკოვის საკავშირო გამოფენაზე, მომხიბვლელი გარეგნობის მქონე ეთერ გობაუვილი, ანსამბლის წევრებთან ერთად საკავშირო მედლით დააჯილდოვეს. (ხელმძღვანელი ქ - ნი ნათელა დოლიძე). იგი გახლდათ ასევე ქ. ლანჩხუთის სახალხო თეატრის მოყვარული მსახიობი. (რეჟისორი ბ - ნი **ვალოდია წულაძე**) ლექსების წერა სტუდენტობის პერიოდში დაიწყო. უახლოეს პერიოდშივე მან სიყვარულის ულამაზესი გრძნობით ცხოვრება დაუკავშირა ღირსეულ პიროვნებას - **როინ ისაკაძეს**. ახალ ოჯახში შექმნილმა მეგობრულმა ატმოსფერომ კიდევ უფრო განამტკიცა ეთერის პოეტური მისწრაფებები და 2014 წელს ქ. ლანჩხუთის ლიტერატურულ - შემოქმედებითი გაერთიანება „სამებას“ წევრმა გამოაფინა „**ლექსადექიური მარგალიტები**“.

შემდეგ კი პოეტურ აღმასვლაში თანდათან გამოიკვეთა ეთერის შესაძლებლობები და 2018 წელს იგი საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი ხდება, რასაც მალე ემატება „**პოეზიულში**“ განვერიანება და მისი ლექსები იბეჭდება „**ლექსის აკვანის**“ ტომეულებში.

მალე მან მონაწილეობა მიიღო წმინდა ილია მართლის გაზეთ „**ივერიის**“ სახელობის პროზა-პოეზიის საერთაშორისო პრემია - „**ივერია**“ კონკურსში და მიენიჭა პრემია ივერია და ორდენი. ნომინაცია „**ქართული ელიტის**“ წლის პოეტი 2020 - 21 წ.

2022 წელს **ჯუმბერ ლეჟავას** სახელობის საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი გახდა და კულტურის განვითარებისთვის დაჯილდოვდა დიპლომით „**პერსონა 2022**.“ იმავე წელს მეორე დიპლომით - „**წლის ლიდერი და ნოვატორი ქალი**.“

ძვირფასო მკითხველო - ბედნიერებაა, როცა ადამიანი

თავის საკეთებელს მიაგნებს ცხოვრებაში. მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრებამ უმკაცრესი განაჩენით ეთერს ურთულესი გამოცდა მოუწყო, როცა პოეტური აღმავლობის პერიოდში ეთერიმ ყველაზე საიმედო ცხოვრების თანამგზავრი, მეუღლე **როინ ისაკაძე** დაკარგა და შემდეგ სულ მალე ეთერის სიცოცხლის და გამძლეობის გარანტი, ქვეყნის და ხალხის საკეთილდღეო საქმიანობით აღიარებული ვაჟიშვილი - **დიმიტრი ისაკაძე** გამოეცალა, განადგურების ზღვარზე მდგარმა და ყოვლად უიმედო განცდებით დამძიმებულმა ეთერმა საოცარი ნებისყოფის გამოვლინებით დაგვანახა, რომ მიზანი ყველა შესაძლებლობას ამართლებს. მან წარმოუდგენელი შეუპოვრობით მოძებნა და იპოვა საკუთარ თავში ძალა, მოახერხა და სრულფასოვნად შეიცნო საკუთარი თავი.

ეთერს აძლიერებდა იმის მოგონება, თუ როგორ ამაცობდა მისი შვილი დედის მიღწევებით და ასეთი მოუწვლელი მოგონებით გამხსნევებულმა, მართლაც ზებუნებრივი, საოცარი ხიბლით მოქარგა ზეციური გზები და მიუძღვნა ქმარშვილის მარადიულ ხსოვნას ისტორიული, პოეტური შედეგრი „**სად არ მატარე ღმერთო!**“

ეს ნიგნი, ქალბატონ ეთერის ღვთისგან ბოძებული ნიჭის ზეიმია, ავტორმა თავისი პოეტური სულის აღმაფრენით დაგვიდასტურა, რომ ადამიანში ყველაფერი შეგიძლია ჩაკლა, გარდა აზროვნებისა, რისთვისაც მწერალთა სახლში გამართულ პრეზენტაციაზე, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითმა კავშირმა უმაღლესი აღიარებით დააფასა პოეტის ღვანლი და ჯილდოდ გადასცა „**თამარიონის ენდალმა**.“ სანუკვარი ჯილდოს გადაცემა მეტად საინტერესო გარემოებით შეიმოსა იმითაც, რომ ლამაზ, საზეიმო დღეს ესწრებოდა ნიჭიერი პოეტსას მოსწავლეობის პერიოდის მასწავ-

ლებელი ქალბატონი **ჟუჟუნა ტულუში**. ეს იყო სიხარულის, აღტაცების და ღვთიური მადლიერების განუმეორებელი დღესასწაული! ქართული სულის, მამულიშვილური სიყვარულით ავსებულმა თავისი ქვეყნის პატრიოტმა პოეტმა მართლმადიდებლური სრულფასოვნებით მოიარა და მოილოცა საყვარელი სამშობლო, ყველა კუთხის წმინდა ადგილები.

ქალბატონი ეთერი პოეტური ძალმოსილებით ეფერება მიტაცებული ჰერეთის მინებს, გაუცხოებულ კლარჯეთს, ვერ ეგუება რომ ოშკის, ხახულის, პარხალის, ბანას, ოპიზას დამენყრილ ტაძრებში მოღებები დაფარვატებენ.

ეთერის პოეტური სული ლოცვით ავედრებს მაცხოვრის ძალას დღეს მარტოსულად მიტოვებულ, მაგრამ მაინც ამყად წამომართულ ტაო-კლარჯეთს.

საოცარია ეთერის ქრისტიანული სულის ყვილი კაბადოკიის მინაზე მოგზაურობისას. მიმზიდველი განცდებით, გამორჩეული ერთ-ერთი ლექსი ქართველი მთარგმნელის, ფილოლოგის მზია კვირიკაშვილ-ლოურენსის მიერ ითარგმნა ინგლისურ ენაზე.

სამშობლოს გზა-ბილიკებზე მოგზაური პოეტი ღრმა განცდებით გვიხატავს საქართველოს სამხრეთ ნაწილს სვანური კომკებით, ზღაპრულ შადრევნებად ამოფრქვეული ჩანჩქერებით და ენგურის გუგუნში ცად აზიდული უშბა-თეთნულდის გასაოცარ, მითოსურ, ნისლიან მწვერვალებს.

მზესავით სულბრდღვიალა პოეტ ქალბატონს, არც იმერეთის ღვთიური ადგილები დავიწყებია. იგი პრომეთეს მღვიმის, ბაგრატის, გელათის, მონამეთას, კაცხის ტაძრებში ლოცულობს. განსაცვიფრებელი გონიერებით მოიარა გერგეთი და შაორის ტბა. ულამაზესი დარიალის ხეობა, თამარ მეფის ზღაპრული ქვაბულები, დავით გარეჯელის ღვთიური სამკვიდრო, დიდი სულხან-საბას სალოცავი ადგილი ტანძრის წმინდა

მინაზე და ასე ტკივილით, იმედით, ლოცვით და ვედრებით შემოიარა შუაგული სამშობლოდან საქართველოს დანარჩენი კუთხეები და გულმხურვალედ, ქართველი ქალის მაღლიანი ცრემლით მოილოცა წართმეულ-ნაგლეჯილი უძველესი ქართული მინა-წყალი. ამიტომაც ეთერის კალამს სულ ახლავს ჩვენი ქვეყნის წარსული ისტორიული რეალობის ფანტასტიური ასახვით ლექსებში ჩაქსოვილი ქართული ცისა და მიწის გულწრფელი, უანგარო სიყვარული. მის ლექსებს შეუძლია ადამიანს წარსული შეაყვაროს, დუხჭირი ყოფა განაცდევინოს და ცრემლი მოაღინოს.

პატრიოტული პათოსით გაჟღენთილი სტრიქონებით ეთერისთვის გაუყურებელი ტკივილია დაქუცმაცებული საქართველო და ერთადერთ ხსნად საქართველოს მომავლისა, მას სიყვარული და ერთობა მიაჩნია. იგი სულ მცირედი ნაზრევი-თაც კი, სისხლხორცეული შეგრძნებით ევედრება ასაკოვანს, თუ ჭარმაგს, რომ არ გადაუხვიონ სიყვარულის გზიდან, რომ ქართველი კაცის სიამაყე ოდითგანვე უპირველესი - სამშობლოს სიყვარულია.

\*\*\*  
გწყალობდეთ და გენოდეთ, ძალა სვეტიცხოველისა, შესმენილი იყოს ზეცად სურვილები მთხოვნელისა, შეიყვარეთ ერთმანეთი, რიდი გქონდეთ მშობელისა, უფალა მხსნელი ქვეყნად, ამა წუთისოფელოსა.

ასეთი რწმენით დამოძღვრილ სტრიქონებს საგანძურად ჩუქნის და ანდერძივით უტოვებს ხვალისდელი საქართველოს მომავალ თაობებს!

თვითონ კი ცხოვრებისეულ სირთულეებთან შერკინებული, მაგრამ ამყი და უკანდაუხეველი, ქალიშვილის ლამაზი ოჯახით, რძლის და შვილიშვილების სიცოცხლით და სიყვარულით

გაგრძელება მე-11 გვ



მეათე გვერდიდან

აგრძელებს შემოქმედებით მოღვაწეობას. მისი ლექსები იბეჭდება „ანთოლოგიაში“, ჟურნალ „ათინათში“, მრავალტომეულ გამოცემა „პოეტები საქართველოსი“ და სხვა გამოცემებში.

მაღე ვიხილავთ ახალ კრებულს, სადაც იგი მისი პოეზიის ძალმოსილებით მრავალ სიახლეს შემოგვთავაზებს.

ქალბატონო ეთერ, დღიდან გაცნობისა მე თქვენში უზომო კეთილშობილება

დავინახე, რაც საფუძველს მაძლევს უსასრულოდ ვისაუბრო თქვენს სათნოებასა და დიდსულოვნებაზე. კიდევ უფრო მკაფიოდ გამოხატულ ჩვენი ქვეყნის ავკარგიანობაზე, მისი ანმოსა და მომავლის ზრუნვასა და სიყვარულზე, მაგრამ არ შეიძლება თქვენი მრავალფეროვანი და უვრცელესი შემოქმედების მიღმა შეუმჩნეველი დარჩეს თქვენში ჩასაყდრებული პიროვნული, შინაგანი სამყაროს სისპეტაკე და მშვენიერება და კიდევ, უფრო მკაფიოდ გამოკვეთილი თქვენი უბადლო მეგობრული სულის სიუხვე.

მიუხედავად თქვენს სულში დატრიალებული ტრაგედიისა თქვენ ცრემლნარევი ღიმილით ცდილობთ და ახერხებთ თქვენში მოზღვავებული სიკეთის უშურველად თესვას, გათავისებული გაქვთ სხვისი სატიკვარი და გააზრებული მოქმედებით ჩვენს დიდ სამეგობროში საიმედო დასაყრდენ ადამიანად ითვლები.

გმადლობთ, ქალბატონო ეთერ, რომ არსებობთ! გულწრფელად ვაღიარებ: თქვენი ღვთიური სამკაულივით აკინძული

სტრიქონებით დარჩებით, როგორც უდიდესი მოაზროვნე, რომლის შემოქმედება ისეთი სიმფონიაა, რომელიც ნანასავით შემოდის სულში, მზესთან წილნაყარი ღიმილივით იღვრება და მეგობრობით, სიყვარულით გაჯერებული მაღლით შემოსილი მიედინება ვრცელი სამყაროს პოეტურ სივრცეებში.

ესეც იცოდეთ: შენ შენი კალო ჯერ არ გაგიღწავს, სათქმელ-საქებარიც გაქვს ბევრი მგონია, სამშობლო მიწისთვის



ნაზი გალობრა

სისხლი რომ გიყვივს, კიდევ გასალენად გზა დამილოცნია.

უდიდესი პატივისცემით,

ნაზი გალობრა

ლიტერატურული გვერდი

დალი შენგელია

საღვთისმშობელი

საქართველოში თამადაობა არ მოიშალოს, ვიდრე არსებობს ვაზის ჯიში, მრავალსახისა მშვიდობა იყოს საქართველოს აღორძინების, ღმერთი კი მონმე მაღლიანი მისი სახისა...

მშვიდობის მერე ოჯახს ვლოცავ, კურთხეულ იყოს, ქართველთ სიმრავლეს საჭიროებს და გამრავლებას, კაცურ-კაცობით და მოლხენით ეცხოვროთ მუდამ, დიდხანს სიცოცხლეს დაულოცავ ღვთიურ ხარებას...

ღვთიურ სიყვარულს დაგილოცავთ შემდეგ ანაზდად, უსიყვარულოდ არ იქნება მშობლის არსება და დაგილოცავთ გამრჯე მშობლებს ამ კერისას, ვინც მოგცათ ხილვა,ამა ქვეყნის ამონათება....

შემდეგ დავლოცავ , ჩვენს წინაპრებს,მრავალ ვალმობილით, სამშობლის ტრფობით გულანთებულთ, სულ დამამშვრალეებს, მათი ბრძოლებით,მტერთან დახვდომით, მორწყულ ლელიანს, ვერ დავივწყებთ, ხმლებს სისხლიანს, დალენილ ფარებს...

შემდეგ დავლოცავ ავადმყოფებს, სანოლთ მიჯაჭვულთ, ღმრთის ლოდინში, ნამოდგომას რომ ეცდებიან, ძალა არ ჰყოფნით,გული რკინის უცემთ დიდ მკერდში, თვის რწმენით, ღვთის სიყვარულით ნამოდგებიან...

დავლოცავ ქართულ ჩანასახიდან--დღემდე მომავალს, მათ დავულოცავ-სიყვარულს, რწმენას, მამულს და ენას, რომ საქართველო დაიბრუნონ, კიდით-კიდემდე, დიპლომატურ სვლებში , ისწავლონ ჭირთა მოთმენა...

ვისაც ვახსოვართ და ვინც გვახსოვს, მათ ვადღეგრძელებ, ვისაც ვუყვარვართ და ვინც გვიყვარს ამ სასწუთროში, უფლის ნაბოძებ ვაზ-ნაჟურით, დავლოცავ ყველას, ხუთიათასი წლის წინანდელ საქართველოში....!

წიდან ნიშანს ველოდები

გული დაცარიელდა, ოცნებები დაიმსხვრა, თითქოს ვებღაუჭები, სად წავიდა რა იქნა? გული ებრძვის ფიქრთა გუნდს, აღარაა საშველი, რწმენას აროს დავკარგავ, აზრი მომდის სულ ბნელი. ერთურთს მხარში არ უდგას, რეალობა ოცნების, მე ყოველთვის გავეურბი, მეშინია მონსტრების. ბოლოში თუ აღმოვჩნდი, უფალს ვიცი ვუყვარვარ, თავს ყოველთვის ვიპოვი, რადგან ევას მოდგმა ვარ! არ ვაცდუნებ არავის, სიყვარულს კი გთავაზობთ, ნიგნსაც კი გამოუშვებ, შევავროვებ დანაზოგს!!

ენის გადაგვარება

ასიმილაცია, დისიმილაცია, დისლოკაცია, პერფორმაცია, ის რა კაცია, ასე რომ ამბობს, ქართული სიტყვის დეფორმაცია. ოო! დავივწყეთ, სიტყვა ქართულის,

ენის სიძველის კვალიფიკაცია, იბლიძებით და თან იჭიჭებით, და ენას იმტვრევთ, ქალი-კაცია. დღეს ასე გვარობ, თუნდაც გვარდები, ხვალინდელი დღე, შენებრი ხდება, ქართული სიტყვა უძველესია, თქვენნაირებით, ქრება და კვდება. სუყველა სიტყვა ანონ-დანონით, ყველას აუნყეთ ქართული ტონით, რადგან ღვთის სიტყვა უძღვევლია, ვერ შერყვნის ჟამნი და ვერცა დრონი!!

მე მიყვარს

მე მიყვარს ლექსი, ლექსი ყოველი, სიყვარულისა, გარდასახვისა, მე მიყვარს ლექსი სულის შემძვრელი, შეყვარებული, მთა და ბარისა. მე მიყვარს ლექსი სამშობლოს , ფიქრის, გულში გამჭოლი ნიავ-ქარისა, რომ ეტრფი მიყვარს, ისიც რომ გეტრფის ვით ციურ სხეულთ, მზის და მთვარისა. მე მიყვარს ლექსი ლეგენდად ქცეულ სამშობლოს ბრძოლის ხმლის და ფარისა, ან დაჩოქილი, ფეხზე ამდგარი, უძღვეველ, მღვიძარ ჩემი ხალხისა. მე მიყვარს ლექსი მომავლის ხილვის, წარმატებული ნაბიჯთა რწმენა, მე მიყვარს ლექსი მიზან სწრაფული გულში ჩამწმდომი ქართული ენა. მე მიყვარს ღმერთი უზენაესი, სიტყვის მთქმელი და, საქმით და რწმენა, მან დაგვილოცა ეს ტურფა მხარე გადმოგვილოცა ქართული ენა. მე მიყვარს იგი, ვითა ღვთაება, სასურველ სიტყვით ვლოცულობ მასზედ, მე მიყვარს მისი საქმე ყოველი, ხელებს აღვაპყრობ ლოცვით მე ცაზე. მე მიყვარს ლექსი, სიმართლის ფართი, გამარჯვებულად, ომახიანი, თვალზე ცრემლები რომ მოგადგება, სიტყვა რომ სიტყვობს სულ მაღლიანი.



დალი შენგელია

აი, მაშინ კი, გულში გავივლებ, შენ დაგელოცოს აზრთა ნაკრები, შენ სულიწმინდა გიხსნის გონებას, ყოველი თქმულით ქვეყნად ფასდები....

მზეო, ნუ გამებუტები

მზეო, ნუ გამებუტები, ნუ შემიცნობ ცუდად, მე არა ვარ მყინვარწვერი და არც თოვლის გუნდა. მე გული მაქვს სისხლი მიჩქეფს, გრძნობა გამაჩნია, ალბათ, შენმა მზის სხივებმა ეს ვერ შეამჩნია. მზეო, ნუ გამებუტები, შენგან სითბოს ვითხოვ, სიყვარულიც დიდი ვიცი და ეგ ვისა ვკითხო? ნუთუ, მართლა გამიმეტებ გამიცვიდეს გული, დავივინყო. კაცთა სითბო, მათი სიყვარული. ჩქარა სხივი გამოსტყორცნე, სუნთქვა გამიახლე., დამანახე შენი მზერა, ცეცხლოვანი სახე. მომაბრუნე ცხოვრებისკენ. მიზანდასახული., ეს ცრემლებიც შემიმშრალე შენი სიყვარულით. დილით, როცა გავიღვიძებ, შენი მზერა მათობს., მზეო. ნუ გამებუტები, თორემ ჩემს გულს ათოვს....!!



ბინჯავთ!

2024 წლის 5 მარტს 15:00 საათზე მწერალთა სახლში (მაჩაბლის 13) ჩატარდება ზურაბ ქობალიას შამოქამადაპიტი საღამო!

ახალი წიგნის წარდგენა!

გთხოვთ, მოხარულიყავით! დასწრება თავისუფალია.



ზურაბ ქობალია

აღმართს უნდა დავესახსრო

ღვინის ბანგით გათანგული, ბაგით ბუგებს დავენაფე, დარდი არ მაქვს დანაღმული, შენ მასწავლი მე მოწაფეს.

რქანითელი ატენურით ცოლიკაურთან ვადარე, შენ კი, აბა, რად მემდური, თავად გულიც არ ვადარდე.

მითხარ, მაინც რად მემდური, ლექსის ცეცხლი ვადარდარე, ვერ ჩააქრობს თვით ენგური, გულში გამოკვერილ ალებს.

აღმართს უნდა დავესახსრო, დაღმართს გავეუსწორებ ვალებს, ვინც გამიგებთ, გეტყვით ერთობ, მოდით, ყველას გენაცვალებთ.

ზეცა გააკრთა

ნუთუ, თბილისში არ ჩამოდიხარ, არაფერი გაქვს საქმე? მოწყენილია აქ სამეგობრო, მიწა ჩემ ამქრებს აპყვე.

იქნება, სულაც შენ აგვიყოლო, შენ გვატრიალო ირგვლივ, დაგმანულია მთელი სამყარო, მკლავს მე მაგაზე ფიქრი.

შენი ეშვი და შენივ ღიმილი მსურს მოეფინოს ქალაქს, შენგან შემეკული კვლავაც წინ ვივლი, აღარც მოვიტხოვ დალაქს.

მოდით, ჩამოდი თბილის ქალაქში, ზეცა გააკრთე მისი და ვარსკვლავების კიაფობაში დათრგუნე მნათნი ცისი.

მზე დამღიმილობს, ამ ფიქრთა ჩემთა აუნთო მწვანე შუქი, ამ ცხოვრებაში სხვა არა შემრჩა, გამიფერადე მუქი.

მუქი ცხოვრება, მუქი ფიქრები, თავად აზრებიც მუქი, აწი სიზმრებშიც ფერად ვირთვები, შენ თვალთა ჩრდილთა შუქით.

ბული ჩემი აბგვარი

შენს სიყვარულს ძლივს უძლებს, სხვისას აღარ პოტივებს, აქეთ გუნდრუქს შენ გიკმევს, იქით კიდევ - პორტივს.

მას არ უნდა ექიმი, ურჩევნია ამქარი, არც ისურვა ვექილი, მისთვის უსტვენს აქ ქარი.

გული ჩემი ამგვარი, სიყვარულით გამთბარი, სხვაგან აღარ ეძებო, აგერ, შენთან, აქ არი.

მაქვს ჩემი წესები

მოვეკვი, ცოცხლებში ველარ ვარ, იქ მკვდრებმა აღარ მიმიღეს. ცალკე სინდისის ქენჯნა მკლავს, მაინც დავდივარ, ვილინებ.

სიკვდილ-სიცოცხლის შუა ვარ, საით წავიდე არც ვიცი, სხეულს ვიყენებ ბუნაგად, განაჩენამდე დავიცდი.

ეს განაჩენი სულ სხვაა, უფლისგან დანაწესები, მე ამ კანონთა მონა ვარ, თუმცა მაქვს ჩემი წესებიც.

რაც არ მომწონს და არ მხიბლავს, არა ვარ მისი დამჯერი,, სისხლი კვლავ მოსჩქევს არხიდან, არ იცის რიგი ან ჯერი.

სადაურს საით წაიყვანს, ვერც გარკვეულა გამჩენი, არეულია, გაგვრიყავს, სადმე ტატნობზე დავრჩებით.

სამყაროს დასალაგებლად არ კმარა მხოლოდ სურვილი, იქნებ გვისმინონ ეგებ და მუხლის ჩოქვითა სულ ვივლი.

მოვეკვდები სულაც სულ მალე, თუნდაც იქ ჯერ არ მიმიღონ, სინდისს მოვიხმობ უმაღლვე, დავალ და ჩუმად ვილინობ.

სული ზეცად წამსკლელია

მერე რა, თუ სამუდამო სადმე ახლოს ვპოვე ბინა, ისე, სოფლის სასაფლაოს მზიან გულში მიჩრევიანია.

იქ ხომ მუდამ ნათელია, იქ არავის არა შია, ჯერჯერობით იქ მთელია და საზომი არმინია.

არას ვჩივი, ცივ სამარეს ხომ გამითობს მზე მცხუნვარე, არ დარჩება არვინ გარე, დამაყრიან ცრემლს მხურვალეს.

ჩემი სოფლის სასაფლაო პანთეონებს მიჩრევიანია, ნეშტი სადაც გინდა მალთო, სული ზეცად წამსკლელია.

ხახილაბი გაგვებუტნენ

ხახილები გაგვებუტნენ, აღარ ისხამს ნაყოფს ხე, თურმე ისე გაგვიბრაზდნენ, ხილი აღარ გვალისეს.

სად წახვდით, რომ წადითო, ბრაზით თურმე გაბერდნენ, რას უშვებთ ჩვენს წადილსო, ახარებთო გარე მტრებს.

დაბრუნდითო თქვენს მამულში და ჩვენც გავიხარებთო, თავიცი არ ჩანს ნათაგურში, უღელ ნატრობს ხარებსო.

ნუ გგონიათ დიდ საქმეებს მხოლოდლა იქმთ ქალაქში, ხმის გამცემად გვენატრებით, გვახსოვს თქვენი თამაში.

დაბრუნდით და დავიხუნძლავთ ტოტებს ტკბილი ნაყოფით, თქვენს წინაპრებს რავარც უთქვამთ, ყველასთვის ვართ სამყოფი.

ფიქრთა ზედაზე

მუზა ფიქრია, ფიქრთა ზედაზე, ახლაც ერთად ვართ, მიტომ მე და შენ. ამჟამს ეს ფიქრი სადღაც თარეშობს, დრო ისევ მიჰქრის, ზეცა მთვარეს შობს. იგი ხომ მუზის საბინადროა, აღარც ვკითხულობ, ახლა რა დროა. მოვა მუზა და თავად გაარკვევს, ვის დაუტოვებს აქ ღრმა ნაკვალევს. დანარჩენს წაშლის დრო უღმობელი, მე კი რას ველი, ან რას მოველი. საჩემოდ მზეობს ფიქრი ყოველი, საამუჟრია, როცა, რომ ელი. მოსვლითაც იქნებ კი გავიხარო, ოღონდ არ მკითხოს, შენ ვინა ხარო.

მუზა ფიქრია, ფიქრთა ზედაზე, ახლაც ერთად ვართ, მიტომ მე და შენ. ამჟამს ეს ფიქრი სადღაც თარეშობს, დრო ისევ მიჰქრის, ზეცა მთვარეს შობს. იგი ხომ მუზის საბინადროა, აღარც ვკითხულობ, ახლა რა დროა. მოვა მუზა და თავად გაარკვევს, ვის დაუტოვებს აქ ღრმა ნაკვალევს. დანარჩენს წაშლის დრო უღმობელი, მე კი რას ველი, ან რას მოველი. საჩემოდ მზეობს ფიქრი ყოველი, საამუჟრია, როცა, რომ ელი. მოსვლითაც იქნებ კი გავიხარო, ოღონდ არ მკითხოს, შენ ვინა ხარო.

მუზა ფიქრია, ფიქრთა ზედაზე, ახლაც ერთად ვართ, მიტომ მე და შენ. ამჟამს ეს ფიქრი სადღაც თარეშობს, დრო ისევ მიჰქრის, ზეცა მთვარეს შობს. იგი ხომ მუზის საბინადროა, აღარც ვკითხულობ, ახლა რა დროა. მოვა მუზა და თავად გაარკვევს, ვის დაუტოვებს აქ ღრმა ნაკვალევს. დანარჩენს წაშლის დრო უღმობელი, მე კი რას ველი, ან რას მოველი. საჩემოდ მზეობს ფიქრი ყოველი, საამუჟრია, როცა, რომ ელი. მოსვლითაც იქნებ კი გავიხარო, ოღონდ არ მკითხოს, შენ ვინა ხარო.

მუზა ფიქრია, ფიქრთა ზედაზე, ახლაც ერთად ვართ, მიტომ მე და შენ. ამჟამს ეს ფიქრი სადღაც თარეშობს, დრო ისევ მიჰქრის, ზეცა მთვარეს შობს. იგი ხომ მუზის საბინადროა, აღარც ვკითხულობ, ახლა რა დროა. მოვა მუზა და თავად გაარკვევს, ვის დაუტოვებს აქ ღრმა ნაკვალევს. დანარჩენს წაშლის დრო უღმობელი, მე კი რას ველი, ან რას მოველი. საჩემოდ მზეობს ფიქრი ყოველი, საამუჟრია, როცა, რომ ელი. მოსვლითაც იქნებ კი გავიხარო, ოღონდ არ მკითხოს, შენ ვინა ხარო.

მუზა ფიქრია, ფიქრთა ზედაზე, ახლაც ერთად ვართ, მიტომ მე და შენ. ამჟამს ეს ფიქრი სადღაც თარეშობს, დრო ისევ მიჰქრის, ზეცა მთვარეს შობს. იგი ხომ მუზის საბინადროა, აღარც ვკითხულობ, ახლა რა დროა. მოვა მუზა და თავად გაარკვევს, ვის დაუტოვებს აქ ღრმა ნაკვალევს. დანარჩენს წაშლის დრო უღმობელი, მე კი რას ველი, ან რას მოველი. საჩემოდ მზეობს ფიქრი ყოველი, საამუჟრია, როცა, რომ ელი. მოსვლითაც იქნებ კი გავიხარო, ოღონდ არ მკითხოს, შენ ვინა ხარო.

მუზა ფიქრია, ფიქრთა ზედაზე, ახლაც ერთად ვართ, მიტომ მე და შენ. ამჟამს ეს ფიქრი სადღაც თარეშობს, დრო ისევ მიჰქრის, ზეცა მთვარეს შობს. იგი ხომ მუზის საბინადროა, აღარც ვკითხულობ, ახლა რა დროა. მოვა მუზა და თავად გაარკვევს, ვის დაუტოვებს აქ ღრმა ნაკვალევს. დანარჩენს წაშლის დრო უღმობელი, მე კი რას ველი, ან რას მოველი. საჩემოდ მზეობს ფიქრი ყოველი, საამუჟრია, როცა, რომ ელი. მოსვლითაც იქნებ კი გავიხარო, ოღონდ არ მკითხოს, შენ ვინა ხარო.

ჩემი სოფლის სანახებს

ჩემი სოფლის სანახებს დღეს მე ყველას ვანახებ, შევინახავ მარადის, აქ ტურისტები არ დადის.

მალე აყვავილდება ენძელით და იებით, ხშირად ლოცვა მინდება, ბედნიერი ვიქნები.

აქ ხომ ჩემი ბავშვობა მიხმობს ანუ მეძახის, მესმის მათი ჩურჩული ყველა ბუჩქის, ყველა ხის.

მალე უნდა დავბრუნდე, მისთვის უნდა ვილოცო, ამ სანახებს ვფიცავარ, რომ მიყვარდა - იმ გოგოს!..

აბ შენი სავალი გზებია

საკუთარ ნაკვალევს მე როდის გავივლი, ეგ შენი სავალი გზებია, ყმანვილო!.. მე გამიკვალა, არ იყო ადვილი, შენ ჩემი მართვე ხარ, რადგანაც ვარწივობ.

შენა ხარ იმედი მომავლის, ზვალის და მარადად რომ იყოს ზე კაცობრიობა, ქვეყანა იმად ჩანს მადლით რომ მოსილა, ვინაც რომ იღვანა, ვინაც რომ იომბა.

მე შენგან არაფერს არ ვითხოვ, მამულო, ოღონდაც კალთის ქვეშ მოჩრდილვა მაღირსე, ჩემს შემდგომ, რავარც მე მამყოფე გზა-კვალზე, ჩემ კვალზეც ატარე ჩემივე საჯიშე.

ხომ ხედავ, რომ ვშფოთავ, ძილი ვერ მერევა, ერთ ღამეს გაჩუქებ, გაგტეხავ, მერე რა. სასთუმალს არც ვიმჩნევ, არც ლოგინს, ექსტერნად, სიცოცხლე შემციონდა, სიკვდილი მეტევრა.

ამ ჩემ ნაკვალევზე ვინც მოდის, იარეთ, რომ მშვიდად მამყოფით, დაგიფენთ ფიანდებს, მოქუჩდით, შგროვდით,

ამ ჩემ ნაკვალევზე ვინც მოდის, იარეთ, რომ მშვიდად მამყოფით, დაგიფენთ ფიანდებს, მოქუჩდით, შგროვდით,

ამ ჩემ ნაკვალევზე ვინც მოდის, იარეთ, რომ მშვიდად მამყოფით, დაგიფენთ ფიანდებს, მოქუჩდით, შგროვდით,

ამ ჩემ ნაკვალევზე ვინც მოდის, იარეთ, რომ მშვიდად მამყოფით, დაგიფენთ ფიანდებს, მოქუჩდით, შგროვდით,

ამ ჩემ ნაკვალევზე ვინც მოდის, იარეთ, რომ მშვიდად მამყოფით, დაგიფენთ ფიანდებს, მოქუჩდით, შგროვდით,

გაგიშლით იმ ანდერძს, არც არსად იჩქაროთ, არც დაგაგვიანდეთ.

\*\*\* „არა“ს უკან „კი“ რომ დგას, მსურს წინ წამოიწიოს, შეუცვალოს ადგილი, და წინ ყოფნა იწვინოს.

შეკითხვაზე: გიყვარვარ? „კი“მ დაასწროს პასუხი, განა, შენი მონა ვარ, ამოდენა სახლს ვუვლი.

„არა“ არ გამაგონო, „არა“ს „წნუ“ მიჩრევიანია, რადგან შენი სიტურფე უთქმელადაც ჩემია.

მე ვარ დამფასებელი, შემნახველი, მფერები, მაგ სიტურფე, სინაზეს უხმოდ შემოვევლები.

„არა“ს აღარ მივიღებ, თუნდაც მითხრა აწი „წნუ“დ, „კი“ა ჩემი ძმობილი და მას ველი წამდანამ.

ვაიბრანგბუს

ვერსაქართველოს ცა რომ დაჰყურებს, იმ მიწაზე ხართ ემიგრანტები, მე არ ვუფერებ ხშირად ამ ყურებს, რომ დაგიგროვდათ, თითქოს, ვალები.

ადამის მოდგმას ერთი ვალი აქვს, ასე მგონია, ევას მოდგმასაც, სამშობლოს ვალი ყველას თან მიაქვს, მამულისათვის იწყებთ ლოცვასაც.

სამშობლო მინის სურნელი სხვაა, აქ სხვანაირი დანათის მზეცა, თითო ქათამი აქ გაგეზარდათ, გაგილიმბდათ ქართული ზეცა.

ახლა ჩვენ ყველა მაგ ზეცას ვუმზერთ, როს მოფრინდება ის თვითმფრინავი, რომლითაც ცრემლთა კიაფით გულზე, რომ გაგაცილებთ იქით მავალინი.

სამშობლო კვლავაც გელით გულწრფელად, აქ გელოდებით თქვენ მომავალი, მოველინებით სამშობლოს მხსნელად, აქ გაუზარდეთ შთამომავალინი.

თითო ქათამი გაზარდეთ დღეში, მეტიც გექნებათ შემოსავალი, ვიდრე შოულობთ იქ კენესა-ხენეში, აქ მოიხადეთ სამშობლოს ვალი.

ანდა, მეც თვითონ თან წამიყვანეთ, რომ იქ თქვენსავით ვიტანჯო მეცა, რომ თვალნი ჩემნი ილტვოდნენ აქეთ, ენატრებოდეს ქართული ზეცა.

მთ. რედაქტორი ბორის მიშველაძე 555 596 050 აღმასრ. რედაქტორი: ნათია გურგენიძე 593 422 258 გამომცემელი: ა(ა)იპ „პედაგოგთა და მეცნიერ-პედაგოგთა ხელშეწყობისა და დახმარების საქველმოქმედო ფონდი“ ს/ს 402010587 ს/ს თბილისი ბანკი: GE 94 TB7249236080100007

რედკოლეგია ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727; ნათელა ქიმერიძე 595 584 572; ბორის მიშველაძე 555 596 050; ეკა მამუკაშვილი 599 944 592; კონსტანტინე გურგენიძე 592 777 181; ნათია გურგენიძე 593 422 258; მზია გოგოძე 593 208 048; ირმა მეტონია 591 320 705; გერმანე საზანოელი 593 022 913; თამარ ანდრიაძე (კომპიუტერული რედაქტორი) 599 44 98 48; ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com ვებგვერდი: saxalxoganatleba.ge ტელ: (032) 2 99 80 00; (032) 2 98 48 07

სახალხო განათლება+ N1 (4617) 21 თებერვალი / 2024 წელი გაზეთი გამოდის 1928 წლიდან ISSN 1987-9113 9 771987 911009